საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა ჩმინდა საქმეში, რაგინაც ბიჭდვილი სიცყვაა, ცყუილებით და ჭორებით ბუტის გაცანა ცვეღა უკადრისობაზე უსამაგღოესია.

ხუთშაბათი, 16 აგვისტო. 2018 წ. №163 (8564) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ქეით მელუას ფესტივალი – ლონდონის ქართული განძი!

6

კასპიის ზღვის სტატუსი გაირკვა

4

ზარბაზნები თუ სიცილი?

8

მეშხეთმაბათებელი ინტერვიუ ოზბილარიან

ასე ამბობდა ლეონარდო და ვინჩი

7



„ცემენტის ოთი“

4

40 ვიდეოკლიპი საქართველოს შესახებ

ჩინური მედიაკომპანია MCZT საქართველოს შესახებ 40-მდე ვიდეოკლიპს იღებს. 11-კაციანი გადამღები ჯგუფი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით პრესტურის ფარგლებში ეწვია.

2 კვირის განმავლობაში MCZT ჯგუფის წევრები თბილისს, თელავს, გორს, სტეფანწმინდას, ბორჯომს, წყალტუბოს, საირმეს, ბათუმს და ქედას სტუმრობდნენ და პოპულარული ტურისტული ადგილების და ბალნეოლიგიური კურორტების შესახებ ვიდეოკლიპებს იღებდნენ. მომზადებული კლიპები მედიაკომპანია MCZT-ის პლატფორმებზე განთავსდება და ჩინეთში 60 მილიონზე მეტი ადამიანი იხილავს.

გერმანიის მთავრობამ მესამე სქესი დააკანონა!

გერმანიის მთავრობამ სამოქალაქო მდგომარეობის აქტების წიგნებში მესამე სქესის დამკვიდრების განკარგულება გასცა. შესწორებების მიხედვით, გერმანიაში „მამაკაცსა“ და „ქალთან“ ერთად იარსებებს „ინტერსექსუალური“ სქესი. ამგვარად, გერმანიის მთავრობა იმ ადამიანებს ეხმარება, რომლებსაც სქესის განსაზღვრა უჭირთ. კანონპროექტი გერმანიის კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მომზადდა და მას პარლამენტში განიხილავენ.



ჰენრი კისინჯერი სკანდალში ეხვევა

სააგენტო Bloomberg-მა სკანდალური გამოძიება გამოაქვეყნა, ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ აშშ-ის პოლიტიკის „რუხი კარდინალი“ ჰენრი კისინჯერი იყო ის „შემკრები წერტილი“, რომლის გარშემოც ე.წ. „რუსული შეთქმულების“ ფიგურანტები ტრიალებდნენ: დონალდ ტრამპი, ჯარედ კუშნერი, რუსეთის ელჩი კისლაკი და აშშ-ში დაკავებული მარია ბუტინა.

სააგენტოს ინფორმაციით, 2016 წლის მარტში ტრამპის სიძე ჯარედ კუშნერი Center for the National Interest-ში ოფიციალურ სადილზე მიიწვიეს, სადაც ის ჰენრი კისინჯერს გააცნეს. იქვე კუშნერმა გაიცნო დიმიტრი საიმსი, იმ ცენტრის ხელმძღვანელი, რომელთან ერთადაც კუშნერი ტრამპის, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატის პროგრამული გამოსვლის ორგანიზებისთვის თანამშრომლობდა. საიმსის ცენტრი, რომლის მფარველიც კისინჯერია, ჟურნალისტების ინფორმაციით, ასევე თანამშრომლობდა მარია ბუტინასთან. სააგენტოს დამამძიმებელ გარემოებად მოჰყავს ის, რომ კისინჯერის ცენტრმა ტრამპის ის გამოსვლა დაგეგმა, რომლის დროსაც კუშნერმა თითქოსდა რუსეთის ელჩი გაიცნო და მას ტრამპის კრემლთან კავშირისათვის საელჩოს ტერიტორიის გამოყენება შესთავაზა. DW-ს რუსულ ვერსიაში გამოქვეყნდა სტატია, სადაც Bloomberg-ის გამოძიება და კისინჯერის დადანაშაულება, აშშ-ის პოლიტიკურ სისტემაში ტრადიციების რღვევადაა მიჩნეული. **„ის, რომ კისინჯერის დონის ადამიანს ამ სკანდალში ვინმე ჩაითრევდა, ამის წარმოდგენა შეუძლებელი იყო, მაგრამ ეს მოხდა, რაც სერიოზული მინიშნებაა იმისა, რომ ამერიკის საზოგადოება და პოლიტიკური ელიტა სამოქალაქო ომის ზღვარზეა, და არანაირი დაუწერელი კანონები აღარ მოქმედებს. ხელშეუხებლები აღარ არიან, და თუ Bloomberg-ის სტატიის შემდეგ კისინჯერით სპეცპროკურორი მიულერი ოფიციალურად დაინტერესდება, რომელიც „ტრამპის რუსულ შეთქმულებას იძიებს“, ეს მიანიშნებს იმას, რომ აშშ-ში ახლა შესაძლებელია ყველაფერი. მათ შორის ისტებლიშმენტის მომხრეებსა და ტრამპის თანამოაზრეებს შორის ძალისმიერი დაპირისპირებაც“**, – წერს DW.

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

ძვირფასო ბიზნესმენებო, გაზეთის დახმარების მსურველნო, ნებისმიერი ოდენობის თანხა შეგიძლიათ, ჩაურიცხოთ რედაქციას შემდეგ ანგარიშზე: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოა!..

OPIC-ი საქართველოში ინვესტიციების გაფართოებას გეგმავს, – ამის შესახებ კორპორაციის წარმომადგენლებმა პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან შეხვედრისას განაცხადეს.

დელეგაცია, რომელსაც OPIC-ის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი ხელმძღვანელობს, დადებითად შეაფასა საქართველოში მიმდინარე რეფორმები და აღ-

ნიშნა, რომ ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოა შექმნილი. კორპორაციის წარმომადგენლების მხრიდან გამოითქვა სურვილი, რომ კიდევ უფრო გაფართოვდეს მათი ინვესტიციები საქართველოში.

OPIC-ი ინვესტიციების განხორციელებას განათლების, ინფრასტრუქტურის, ლოგისტიკის სფეროში გეგმავს. ხაზი გაესვა, რომ OPIC-ის ინვესტიციების მოცულობა საქართველოში გაცილებით დიდია სხვა ქვეყნებთან შედარებით.

პრემიერ-მინისტრსა და OPIC-ის აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტს შორის გამართულ შეხვედრას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩერქეზიშვილი ესწრებოდნენ.

რამდენი მილიონი მოხმარდა პრეზიდენტის ადმინისტრაციას?

2017 წელს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ხელფასებსა და მომსახურებაზე 13 მილიონამდე ლარი დაიხარჯა, მათგან დანამატების და პრემიის სახით ორ მილიონამდე ლარი გაიცა – ამის შესახებ, აუდიტის სამსახურის დასკვნაშია ნათქვამი.

უწყების ინფორმაციით, დანამატების შემთხვევაში არ არის დაკონკრეტებული, თუ რატომ გაიცა ის. დანამატის გაცემას პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სისტემატური ხასიათი ჰქონდა. აუდიტის სამსახურში მიაჩნიათ, რომ ხარჯები დასაბუთებული უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები და შენიშვნები აქვს ახალ წელს ჩატარებულ ღონისძიებაზეც, რაშიც ადმინისტრაციამ თითქმის ნახევარი მილიონი დახარჯა და ღონისძიება მხოლოდ ერთ კომპანიას შეუკვეთა.

„ადმინისტრაციამ უნდა გაამახვილოს მეტი ყურადღება ბიუჯეტის დაგეგმვის ნაწილზე, რათა არ მოხდეს თანხების დიდი გადანაწილება მუხლებს შორის. აგრეთვე, სარეზერვო ფონდის ნაწილში, დროულად უნდა განისაზღვროს ის ღონისძიებები, რომლებიც შესაძლებელია გათვალისწინებული იყო ბიუჯეტში და აღარ იქნას საჭიროება მისი დაფინანსების სარეზერვო ფონდიდან. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გაიცემოდა დანამატები, მას ჰქონდა ყოველთვიური ხასიათი. დანამატები გაიცემოდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის, უფროსის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო სამსახურკვალიფიციური კადრებით. ჩვენ ვამბობთ, რომ შესაძლებელია ეს ყოფილიყო უფრო გამჭვირვალე და უფრო მეტად დასაბუთებული,“ – აღნიშნა საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსმა აუდიტორმა ნანა ვაჩაძემ.

მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტები ახალი პირობებით

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტს 2018 წელს ახალი პირობებით განაგრძობს.

2018 წელს, სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება ექნება ნებისმიერ მეწარმე სუბიექტს, რომელსაც პროგრამის ფარგლებში დაფინანსება არ მიუღია, ან პირველად მონაწილეობს, ასევე – მეწარმე სუბიექტს/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფს, რომელმაც ერთხელ უკვე მიიღო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილით განსაზღვრული ხელშეწყობა. იმისთვის, რომ მეწარმე სუბიექტებს/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფს კვლავ ჰქონდეს პროგრამის ფარგლებში გრანტის მიღების შესაძლებლობა, მათ უნდა წარადგინონ პროექტი, რომელიც შეეხება მათთვის უკვე დაფინანსებული საქმიანობის გაფართოება/გადაიარაღებას.

განსხვავებულად განისაზღვრება თანამონაწილეობის წილიც – პროგრამის მოსარგებლის/მოსარგებლეთა ჯგუფის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 50 პროცენტით, მაშინ როდესაც პროგრამის ახალი ბენეფიციარის მიერ პროგრამაში თანამონაწილეობის წილი განისაზღვრება დაფინანსების თანხის არანაკლებ 20 პროცენტით. ასევე, გაზრდილია დაფინანსების მაქსიმალური მოცულობა და ნაცვლად 15 000 ლარისა, შეადგენს 20 000 ლარს.

2015-2018 წლის მონაცემებით, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, მხარდაჭერილია 5 313 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 50 მლნ ლარამდე, ამასთანავე თანადაფინანსების სახით გაიცა 22 949 474 ლარი, სადაც 8 412 მოსარგებლეა. პროექტი ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა თბილისისა.

ოკუპირებული „სამხრეთ ოსეთი“ ე.წ. საზღვარს დროებით კეტავს

ე.წ დამოუკიდებლობის აღიარების აღნიშვნის გამო ოკუპირებული სამხრეთ ოსეთი ე.წ საზღვარს 3 დღით დაკეტავს.

„სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების 10 წლისთავთან დაკავშირებული საზეიმო ღონისძიებების გამო, 24 აგვისტოს 20:00 საათიდან საქართველოსთან სახელმწიფო საზღვარზე გამარტივებული გადაკვეთის პუნქტებზე მოქალაქეების გაშვება დროებით შეჩერდება“, – ნათქვამია ე.წ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის განცხადებაში. პუნქტები მუშაობას 27 აგვისტოს 06:00 საათს ამოქმედდება.

გერმანელი ჟურნალისტები საქართველოს ტურისტულ პოტენციალს ეცნობიან

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით გერმანული ჟურნალ-გაზეთების და ონლაინ გამოცემების 9 წარმომადგენელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეს ეწვია.

წიგნის სახლში ჟურნალისტებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე შეხვდა. გიორგი ჩოგოვაძემ სტუმრებს საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ პრეზენტაცია ჩაუტარა. გერმანელი ჟურნალისტები საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ სტატიებს მოამზადებენ. გერმანიიდან ჟურნალისტების მოწვევა ოქტომბერში დაგეგმილ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობას უკავშირდება, სადაც საქართველო საპატიო სტუმრის ქვეყნის სტატუსით იქნება წარდგენილი. მომზადებული სტატიებით გერმანელი აუდიტორია საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ ვრცელ ინფორმაციას მიიღებს. **9-დღიანი ტურის განმავლობაში ჟურნალისტებმა თბილისის ისტორიული უბნები, მცხეთა, ანანური, გუდაური და სტეფანწმინდა დაათვალიერეს. გერმანული მედიის წარმომადგენლებმა იმოგზაურეს კახეთშიც, ეწვივნენ მარნებს, სადაც ღვინის წარმოების ტრადიციულ წესებს გაეცნენ.**

მერიამ სასტუმროს მშენებლობის ნებართვა გააუქმა

დედაქალაქის მერიამ დიდუბის რაიონში, წერეთლის გამზირზე სასტუმროს მშენებლობის ნებართვა გააუქმა. ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

დედაქალაქის მერმა შესაბამისი ფოტომასალა წარმოადგინა, რომელზეც აღნიშნულია, თუ რა მჭიდრო დასახლებაში უნდა აშენებულიყო სასტუმრო და განაცხადა, რომ ამან ადგილობრივი მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

„დიდუბის რაიონში, წერეთლის გამზირზე, მე-12-13-15 კორპუსების მიმდებარედ, შუა ნაწილში, მჭიდრო და შეზღუდულ ტერიტორიაზე, ოთხსართულიანი სასტუმრო უნდა აშენებულიყო. სამწუხაროა, რომ ეს ნებართვა ჩვენს მიერ გაიცა, რომელიც არ უნდა გაცემულიყო. მაშინ ახალი მოსული ვიყავით და მუშაობა ახალი დაწყებული გვქონდა. ჩვენ ამ შენიშვნას ვიღებთ და ამ ეტაპზე, ნებართვა გაუქმებულია. მოლაპარაკება გვქონდა კერძო მესაკუთრესთან, ვისიც იყო ეს კონკრეტული ტერიტორია. შევთანხმდით, რომ ადგილმონაცვლეობას გავაკეთებთ. მინდა, მას თანამშრომლობისთვის მადლობა გადავუხადო, რადგან ამ კონკრეტულ ადგილზე პროექტის განხორციელება შეუძლებელი იყო, მით უმეტეს, სასტუმროს აშენება“, – აღნიშნა კახა კალაძემ. დედაქალაქის მერმა დიდუბის რაიონის გამგებელს ირმა ზავრადაშვილს დაავალა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე სკვერი მოეწყოს.

„მინდა, ირმა ზავრადაშვილს დავავალო, რომ ამ კონკრეტულ ადგილზე მცხოვრებ ადამიანებს მწვანე სივრცე, ძალიან ლამაზი სკვერი მოვუწყოთ. თუ ჩვენი დახმარებაც იქნება საჭირო, მზად ვართ, პროცესში მონაწილეობა მივიღოთ“, – განაცხადა კახა კალაძემ.

შარტავას ქუჩის რეაბილიტაციას 3,2 მილიონი ლარი მოხმარდება

დედაქალაქის მერი კახა კალაძე საბურთალოს რაიონში, ჟიული შარტავას ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო, რომელსაც თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური ახორციელებს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, სარეაბილიტაციო არეალში (1 კმ-მდე სიგრძის მონაკვეთი) არსებული საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩატარებაა დაგეგმილი. თბილისის მერის განცხადებით, შარტავას ქუჩას კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდება და ველობილიკით პეკინის გამზირს დაუკავშირდება.

„ეს ერთ-ერთი იმ მსხვილი პროექტთაგანია, რომელთა განხორციელება მთელი ქალაქის მასშტაბით გვაქვს დაგეგმილი. სამუშაოების ფარგლებში, მთლიანად მოწესრიგდება სანიაღვრე, წყლისა და წყალარინების ქსელები. ორივე მხარეს მოეწყობა ავტობუსებისთვის სპეციალური სავალი ზოლები, რათა საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება უფრო სწრაფი და უსაფრთხო გახდეს. ანალოგიური სარეაბილიტაციო სამუშაოები კოსტავას ქუჩაზეც მიმდინარეობს, სადაც შეიცვლება განათების სისტემა და სადენები მიწის ქვეშ განთავსდება. ამასთან, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება პეკინის გამზირთან დამაკავშირებელ ჭაბუკიანისა და ბულაჩაურის ქუჩებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოეწყობა ველობილიკი, რომელიც ბულაჩაურის ქუჩით, პეკინის გამზირზე არსებულ ველობილიკს დაუკავშირდება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში შექმნილი გარკვეული შეზღუდვებისთვის მოქალაქეებს კიდევ ერთხელ ბოდიში მოუხადა.

ამასთან, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ აღნიშნულ ლოკაციაზე, 800 000 ლარამდე ინვესტიციას ახორციელებს, რომლის ფარგლებშიც, წყლისა და წყალარინების ქსელები შეიცვლება.

სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წლის სექტემბერში დასრულდება, რომლისთვისაც დედაქალაქის ბიუჯეტიდან დაახლოებით, 3.2 მლნ ლარამდე დაიხარჯება. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ბლექ სი გრუპი“ აწარმოებს.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ 100 წლის გაზეთის გადასარჩენად!

წელიწადი მეასე წელიწადი მეასე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი

ასეთი არჩევანის წინაშე რომ დამაყენონ – მთავრობა თუ გაზეთები? – უყოყმანოდ მეორეს ავირჩევდი!
თომას ჯეფერსონი

გმადლობთ, მკითხველო!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

უპირველეს ყოვლისა, მინდა, გულწრფელად მოგილოცოთ დიდი საიუბილეო თარიღი – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ დაბადებიდან 100 წლისთავი, ოქროს საუკუნე. აღსანიშნავია, რომ ახლახან ვიზეიმეთ საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის და ჩვენი ალმა-მატერის, სიბრძნის მაწოვებელი დედაუნივერსიტეტის 100 წლის იუბილე.

ახლა კი „საქართველოს რესპუბლიკის“ საიუბილეო დღეებია... ამ სამი ისტორიული და ღირსეული საიუბილეო თარიღის დროში ერთმანეთთან დამთხვევა დიდი ეროვნული სიამაყის მნიშვნელოვანი და ბრწყინვალე ნიშანსვეტია. არის ამაში რაღაც მართლაც ღვთიური და საამაყო... არ შეიძლება, მასში უფლის მადლიანი ხელი არ ერიოს... გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, „საქართველოს რესპუბლიკა“ ჩვენი ეროვნული გაზეთია. საგულისხმოა, რომ ამ გაზეთმა თავის დროშაზე გაბედულად წააწერა დიდი ილია ჭავჭავაძის გენიალური და უკვდავი სიტყვები: „იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკიდურესობაზე უსაძაგლესია“. საგულისხმოა, რომ ამ ჭეშმარიტებისთვის ჩვენს მშობლიურ გაზეთს არასოდეს არ უღალატნია. გავკადნიერდები და ხმამაღლა ვიტყვი: დიახ, ეს გაზეთი წარმოუდგენელი ერთგულებით ემსახურა მშობელ ქართველ ერს და ხალხს, იგი მართლაც ყველაზე კარგი გაზეთია. და რა დიდი უცნაურობაა, რომ ყველაზე იაფიც ღირს და თითქმის უფასოა... იქნებ ესაა უმთავრესი მიზეზი, რომ მას დღეს ფინანსურად ძალიან უჭირს... სამწუხაროდ, საკუთარი ოფისიც არ გააჩნია და ნაქირავებ შენობაში ლტოლვილივით არსებობს... გაზეთს ჩვენი სამშობლოს სახელი კი ჰქვია, მაგრამ მთავრობისა და ძლიერთა ამა ქვეყნისა ყურადღება მისი მისამართით, ვაგლახ, რომ არასახარბიელოა და ნულის ტოლია. ალბათ, დიდი უცნაურობაა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის წლიური ბიუჯეტი 55 მილიონს შეადგენს, იმოდენა შენობა უკვდავია და ეს ჩვენი სულის ჩამდგმელი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, საიდანაც „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“ ყოველთვის მძაფრად ისმის, ფინანსური პრობლემის გამო სულს ღაფავს. ამ ტრადიციულ გაზეთს ერისა და ბერისთვის არასოდეს უღალატნია. ამ გაჭირვების ჟამს, ჩვენი ვალია, ფინანსური თანადგომა გამოვუცხადოთ ჩვენს საყვარელ გაზეთს ყველამ, ვისაც საქმე აქვს პრესასთან და როგორც შეიძლება, ვინმეს კავშირი არ ჰქონდა ჭეშმარიტებისა და სიმართლის მღაღადებელ პრესასთან... ყველაფერი უნდა ვიღონოთ მისი სიცოცხლის გადასარჩენად. ეს სატკივარი ყველამ გულთან უნდა მიიტანოს და როგორმე ვუშველოთ ამ ჩვენს ხელიდან ხელში საგოგმანებელ მარგალიტს – „საქართველოს რესპუბლიკას“.

დიდი პატივისცემით,

გულთაზ ლაბარტყავა,
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, ფოთის საპატიო მოქალაქე.

P. S. მართლაც დიდი უცნაურობა და სასწაულია, რომ 100 წლის ეროვნულ და მშობლიურ გაზეთს საკუთარი ჭერი არ ჰქონდეს. ვაი, სირცხვილო! ეს სირცხვილი, ალბათ, ჩვენი საზოგადოებისთვის სიკვდილის ტოლფასია... ნუთუ არ შეიძლება, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ სიმბოლურ ფასად გადაეცეს შესაბამისი შენობა. ჯერ ხომ ყველაფერი პრივატიზებული და „პრიხვატიზებული“ არაა... ამასთანავე, კარგი იქნება, თუ ამ ეროვნულ და სახალხო გაზეთს არსებობისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის ბიუჯეტიდან სათანადო თანხა გამოეყოფა... იმედია, ახალი ხელისუფლება ამ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე გაზეთის პრობლემებს დადებითად გადაწყვეტს. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი, ამინ!

გ. ლ.

ტელ: 599 45 40 45.

◎ სარედაქციო ფოსტიდან

მარილოუყრელი მადლი

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს გასაგონად

პატივცემულო რედაქცია, რასაკვირველია, იტყვით, – შე კაი კაცო, პირდაპირ მინისტრისთვის მიგეწერა, რაღა რედაქციას გვწერო. ეს მაშინ, როცა სამთავრობო სტრუქტურებს აღარ ესმით ბეჭდური სიტყვის ხმაო. მოკლედ, როგორც ჩანს, გრძელდება მავნებელი საკაშვილის ანდერძის აღსრულება, რაც თავის დროზე ბრძანებასავით გაისმა – გაზეთებს მე არ ვკითხულობ და თქვენც ნუ წაიკითხავთო.

მაგრამ მე მაინც იმედი მაქვს, რომ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი მაინც წაიკითხავს ამ წერილს და ყურადაც იღებს ჩემს გულისთქმას.

ჩემი გულისთქმა კი, დარწმუნებული ვარ, ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობის გულისთქმაც არის... რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, რომ ქვეყანაში ნამდვილად „ჯანსაღი“ სადაზღვევო პროგრამა მოქმედებს, მაგრამ დასანანია, რომ ამ უთუოდ კარგ საქმეს მცირე შეუსაბამობა ერთგვარად აუფერულებს...

თქვე კარგო ადამიანო, თუ ძვირად ღირებულ ოპერაციებს გვიფინანსებთ, რა გახდა ეს წვრილ-წვრილი ანალიზები, რაც ოთუს ბირი გვიჯდება და იმ ათასობით ლარს, ასე დროულად და დაუყვედრებლად რომ გვირიცხავთ, შეწევნის მადლს უკარგავს. დაახლოებით ასეთ დროს ამბობს ხალხი – ერთმა კოვზმა კუპრმა მთელი კასრი თაფლი წაახდინაო. ვისაც საოპერაციო დახმარება ეკუთვნის, ბარემ ანალიზებიც რომ დაუფინანსდეთ, რა, ქვეყანა დაიქცევა?! პირიქით, თქვენგან გაწეულ მადლს ბოლომდე მოეყრება სიკეთის მარილი.

თუნდაც წამლების დაფინანსებას შევეხოთ... როგორც საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისთვის ბრძოლების მონაწილე და გორგასლის ორდენის (II) მფლობელი, შესაბამის პენსიას ვიღებ და, ცხადია, მადლობელი ვარ. აგრეთვე მადლობელი ვარ, რომ გარკვეულწილად წელიწადში ორ-სამჯერ წამლებსაც გვიფინანსებთ. გარკვეულწილად იმიტომ, რომ ეს დაფინანსება მხოლოდ 100 ლარით განისაზღვრება, რაც ასევე გარკვეულწილად ერთგვარ უხერხულობას ქმნის.

ბარემ, აქვე უფრო გასაგებს გავხდი ჩემს სათქმელს. უკვე ოთხმოცს გადაცილებული, გვარიანად ხანდაზმული ვარ. ერთ-ერთმა ცნობილმა პროფესორმა იშვიათი რამ წამალი დამინიშნა – „ქსარელტო“, რომელიც 249 ლარი ღირს. გამგეობა მხოლოდ 100 ლარით დამეხმარა, რაზედაც, რასაკვირველია, მადლობელი ვარ, უმადური და დაუნახავი არ გეგონოთ. ამ თანხით მხოლოდ 11 აბი მოდის წამლის სრული ღირებულების გადახდისას. ამიტომ გაიაფების დღე შევარჩიე (უკვე 170 ლარი უწევდა) და გადარიცხვის საბუთით მივედი „ავერსის“ იმ აფთიაქში, სადაც გაფორმებული მქონდა „ფორმა-100“, მაგრამ ნურას უკაცრავად, ფასდაკლება ამ „ნაჩუქარ“ თანხას არ ეხება. არც სხვა რამე წამლით შეცვლა არ შეიძლება (ვთქვათ, წნევის წამლით ანდა ანტიდეპრესანტებით). სხვა რა გზაა, ავიღე ის ჩემი 11 აბი, რაც 98 ლარი დაჯდა, დამრჩა 2 ლარი, მაგრამ ისევ ნურას უკაცრავად, იმ 2 ლარით არაფრის შეძენა არ შეიძლება, თუნდაც „კორსიზის“ ანდა „ნეიროსტიმის“.

ერთი სიტყვით, თქვენი გაზეთის საშუალებით პატივცემულ მინისტრს უნდა ვუთხრა, რომ ამ ვითომდაც წვრილმანებს, სინამდვილეში ჩვენთვის მსხვილმანებს, უთუოდ დიდად კეთილ სადაზღვევო საქმეში ბევრ რამეს გულდასმით გადახედვა და დროულად მკურნალობა სჭირდება.

პატივცემულო მინისტრო, ნუ გავიწყდებათ მადლისთვის მარილის მოყრა. კი, ბატონო, ნუ დაამლაშებთ, მაგრამ უმარილოს, მოგეხსენებათ, ოქროს საჭმელიც რომ იყოს, გემო და, შესაბამისად, ფასიც ეკარგება.

გურამ წიკლაური

მაინც მაქვს იმედი ამ მხარდაჭერის...

– მე უნდა აბსურდული რამე ვთქვა, რომ თუკი უმრავლესობის მხარდაჭერა არ იქნება ჩემი კანდიდატურის მიმართ, რომ ეს არ იმოქმედებს იმ მოსახლეობაზე, რომლის უმრავლესობა მათ უჭერს მხარს. მაინც მაქვს იმედი ამ მხარდაჭერის, – ეს განცხადება, დამოუკიდებელმა საპრეზიდენტო კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა გააკეთა.

ზურაბიშვილი „ქართულ ოცნებასთან“ რაიმე სახის კონსულტაციების მიმდინარეობას ამ ეტაპზე არ ადასტურებს, თუმცა იმედოვნებს, რომ მმართველი პარტია მხარს დაუჭერს.

„მოსახლეობაში უმრავლესობა არის ერთი პარტიის მხარდამჭერი. მეც ამ პარტიას დავუჭირე გარკვეულ წილად მხარი წინა პერიოდში. მან დამითმო მაჟორიტარის ადგილი მთაწმინდაზე, ამიტომ, ძალიან ბუნებრივად, მაქვს იმედი, რომ ეს პარტია, დღესაც, გარკვეულწილად მხარს დამიჭერს. მაგრამ, ჩემი გადაწყვეტილება მაინც არის დამოუკიდებელი, ამ იმედზე არ არის მხოლოდ დაფუძნებული და რაც არ უნდა მოხდეს, მე ბოლომდე გავალ ამ კანდიდატურით და არ დავიხევ უკან,“ – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ზურაბიშვილმა საპრეზიდენტო კანდიდატად რეგისტრაციისთვის ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. მას 26 ათასამდე მხარდამჭერის ხელმოწერა სჭირდება იმისთვის, რომ ცესკო-მ ოფიციალურად დაარეგისტრიროს.

„ქართულ ოცნებას“ უნდა სუსტი კანდიდატი და ზურაბიშვილი ამბობს, რომ მე ვარ ასეთიო

პრეზიდენტობის კანდიდატმა, პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა უმრავლესობის საპრეზიდენტო კანდიდატის დასახელებასთან დაკავშირებით ისაუბრა და განაცხადა, რომ მმართველი გუნდი სუსტ კანდიდატს ეძებს. მისივე თქმით, ასეთი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილია. მოდი, დავაფასოთ „ქართული ოცნების“ გულწრფელობა. მათი მთავარი ამოცანაა, რომ შეარჩიონ ისეთი კანდიდატი, რომელიც იქნება სუსტი პრეზიდენტი, რომელიც ამ პოსტს არარაობად აქცევს და ასეთი კანდიდატის შერჩევის პროცესში არიან. ჩვენ მოვისმინეთ სალომე ზურაბიშვილის პოზიციაც, რომელიც ამბობს, რომ მე ვარ ასეთიო. დაამთავრეთ დისკუსიაო, ნუ სვამთ კითხვებსო, მზად ვარ ვიყო ამ როლშიო.

– მისვამენ კითხვას, „ოცნება“ თქვენ ხომ არ გიჭერთ მხარსო. ხალხო, რაზე მელაპარაკებით? ეს ადამიანები ღიად ამბობენ, რომ ვეძებთ ყველაზე სუსტ კანდიდატს. ჩვენი ლიდერი ვინმე რომ გამოგვეჩინა, ეს პრეზიდენტობისთვის ზედმეტი პატივი იქნებოდა. ამიტომ, დაკავებული ვართ ვინ არის სუსტიო. ამბობენ, რომ მათივე წრიდან ეძებენ მესამე-მეოთხეხარისხოვან ადამიანს, რომელსაც ფორმალურად გაამწესებენ პრეზიდენტად. გიჟი ვარ, რომ ამ ხალხის მხარდაჭერა გამიხარდეს?! ვაიმე, სპიკერმა და ვიცე-სპიკერმა გამომარჩიეს ქვეყანაში, როგორც მეორე-მესამეხარისხოვანი ვიღაცა. ამას უნდა ვცდილობდე? სალომე ზურაბიშვილი ამას ცდილობს და ეს მისი არჩევანია“, – განაცხადა უსუფაშვილმა.

◎ ისტორიული გადაწყვეტილება

კასპიის ზღვის სტატუსი გაირკვა

ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის მოწვევით ქალაქ აქტაუში გასულ კვირას რუსეთის, აზერბაიჯანის, ირანის და თურქმენეთის პრეზიდენტები ჩავიდნენ.

იქ შემდგარ სამიტზე მხარეებმა ხელი მოაწერეს კონვენციას კასპიის ზღვის სტატუსის შესახებ, რამაც წერტილი დაუსვა ამ თემაზე მიმდინარე მრავალწლიან დისკუსიებს.

ამ დოკუმენტზე მუშაობა 1996 წლიდან მიმდინარეობდა. ერთი შეხედვით თეორიული საკითხი – რა არის კასპია – ზღვა თუ ტბა – რეალობაში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც განსაზღვრავს მისი გაყოფის პრინციპს. თუ გავითვალისწინებთ, რომ კასპია მდიდარია ენერგორესურსებით, გასაკვირი არაა, რომ ზოგიერთი ქვეყანა დაინტერესებული იყო კასპიის ზღვად აღიარებით, ზოგიერთი კი – პირიქით.

კასპიის ზღვა მეორეა მსოფლიოში ენერსგორესურსების მარაგების მიხედვით სპარსეთის ყურის შემდეგ.

20 წლის მანძილზე ხუთმხრივ ფორმატში შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა. იყო მომენტები, როდესაც მხარეები თითქმის მიუახლოვდნენ ერთიან აზრს, თუმცა ამ დროს ჩნდებოდა ახალი უთანხმოებები.

საბოლოო გადაწყვეტილება კონვენციის ხელმოწერის შესახებ მიიღეს 4-5 დეკემბერს, 5 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვდერის დროს.

რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის სერგეი ლავროვის თქმით, კონვენციის მიღება გახდება დიდი გარღვევა და „კასპიური ხუთეული“ მიიღებს სანდო სამართლებრივ სტატუსს, რომელიც მათ თანამშრომლობის უფრო მაღალ დონეზე გასვლის საშუალებას მისცემს.

კამათები კასპიის ზღვის თაობაზე გრძელდებოდა საუკუნეების მანძილზე – ჯერ რუსეთისა და სპარსეთის იმპერიებს, შემდეგ კი ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის. სსრკ-ის დანგრევის შემდეგ დისკუსიებს შეუერთდა კიდევ 3 ქვეყანა – აზერბაიჯანი, ყაზახეთი, და თურქმენეთი.

ირანი თვლიდა, რომ კასპია უნდა გამოცხადდეს ზღვად, და ნავე ქვეყანამ უნდა მიიღოს მისი ფართობის 20-20%. რუსეთი კი თვლიდა, რომ უნდა შენარჩუნდეს დღევანდელი რეჟიმი, როდესაც საზღვარი დგინდება სანაპიროს მიხედვით, და ყველა ქვეყანას ეკუთვნის სანაპიროდან სიღრმეში მხოლოდ 10 საზღვაო მილი. დანარჩენი ტერიტორია წარმოადგენს ნეიტრალურ წყლებს, და ნებისმიერი პროექტის განხორციელება იქ შესაძლებელია მხოლოდ ხუთივე მხარის შეთახმების საფუძველზე.

ამ დებატებში ირანის პოზიციას იზიარებდა სამივე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა, შესაბამისად, ძალთა განაწილება იყო ოთხი ერთის წინააღმდეგ.

2014 წელს რუსეთმა პირველმა არათუ წლების, არამედ საუკუნეების მანძილზე, განაცხადა, რომ იზიარებს კასპიის აუზში ეროვნულ ზონებად გაყოფას 25 საზღვაო მილის სიღრმეზე.

ამის შემდეგ ერთადერთ საკამათო საკითხად დარჩა თურქმენეთის დაჟინებული მოთხოვნა, რომ კასპიის ფსკერზე მილსადენების მშენებლობა უნდა იყოს უშუალოდ ქვეყნების უფლება, სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმების გარეშე.

მოსკოვი ბოლო მომენტამდე ამის წინააღმდეგი იყო გასაგები მიზეზების გამო: ამ პირობის შესრულება შუა აზიის ქვეყნებს უხსნიდა ევროპაში რუსეთისგან დამოუკიდებლად ენერგორესურსების ტრანსპორტირების საშუალებას, და ფაქტობრივად, ამ მხრივ სადღეისოდ არსებული რუსეთის მონოპოლიის დანგრევას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თურქმენეთსა და ყაზახეთს შეუძლიათ გაზის ექსპორტი ევროპაში და პოსტსაბჭოთა სივრცეზე მხოლოდ რუსეთის ტერიტორიის გავლით. შესაბამისად, მოსკოვი მათ კარნახობს თავის პირობებს, ხშირად მათი ინტერესების საწინააღმდეგოდ.

აქტაუს სამიტზე მხარები საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ კასპია არაა ზღვა, და შესაბამისად მის მიმართ ვერ იმოქმედებს გაეროს კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ. თუმცა, არც ბოლომდე ტბაა, შესაბამისად მასზე არ მოქმდებს არც ტბების გაყოფის პრინციპი – მხოლოდ ფსკერზე.

კონკრეტული ტერიტორიული საკითხები გადადის ქვეყნებს შორის ორი ან მრავალმხრივი მოლაპარაკებების დონეზე, შესაბამისად, თუ თურქმენეთს სურს გაზსადენის აშენება და მისი გაგრძელება აზერაიჯანის ტერიტორიაზე, მას მოუწევს ამ საკითხის შეთანხმება უშუალოდ არა ბაქოსთან, არამედ თეირანთან, ასტანასთან და მოსკოვთან, როგორც ეს იყო დღემდე.

შესაბამისად, ახალი კონვენცია შუა აზიის ქვეყნებს აძლევს საერთაშორისო ბაზრებზე დამოუკიდებლად გასვლის შესაძლებლობას – კერძოდ, თუ თურქმენეთი შეძლებს შეთანხმების მიღწევას აზერბაიჯანთან და ირანთან, საექსპორტო გაზსადენის მშენებლობათან დაკავშირებით, მას უკვე არ დასჭირდება ნებართვა მოსკოვისგან.

დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ ახალი პროექტების პერსპექტივა სულ უფრო რეალისტური ხდება, ხოლო რუსეთმა და ირანმა მიიღეს მათთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური პუნქტი, რომელიც კრძალავს კასპიის ქვეყნებში უცხო ქვეყნების სამხედრო ბაზების განლაგებას.

რას აძლევს ეს შეთანხმება სამხრეთ კავკასიის რეგიონს, მათ შორის, საქართველოს?

აზერბაიჯანელი ექსპერტის ილგარ ველიზადეს თქმით, კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილი ძალიან მდიდარია ბუნებრივი რესურსებით და შესაბამისად, ყოველი მეტრის ფასი მილიარდია.

„აზერბაიჯანმა და თურქმენეთმა მოითხოვეს მილსადენების მშენებელობის საკითხის გადაწყვეტა, და ეს ასეც მოხდა. შეთანხმება გულისხმობს მსხვილი პროექტების ნ-მხრივ ეკოლოგიურ ექსპერტიზას, თუმცა საბოლოოდ, საკითხი იმ ქვეყნების გადასაწყვეტია, რომლის ტერიტირიაზეც გაივლის მილი. შესაბამისად, თუ აზერბაიჯანი და თურქმენეთი ჩათვლიან საჭიროდ ახალი გაზსადენების მშენებლობას, მათ უკვე შეუძლიათ ამ საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონისთვის“, – განაცხადა მან.

ქვეყნების მიერ ახალი პროექტების რეალიზაციის უფლებამ შეიძლებელია ხელი შეუწყოს დამატებითი გაზსადენების აშენებას შუა აზიიდან ევროპაში, რაც მომგებიანია რამდენიმე მხარისთვის – თურქმენეთის და ყაზახეთისთვის, რომლებსაც შეუძლიათ რუსეთზე დამოკიდებულების შემცირება. ასევე აზერბაიჯანისა და საქართველოსთვის, რომელთა ტერიტორიაზე გაივლის მეტი გაზსადენი, რაც ხელს შეუწყობს მათი სატრანზიტო ფუნქციის შემდგომ განვითარებას.

თუმცა, რუსულ მხარეს მაინც რჩება გარკვეული ბერკეტები არასასურველი პროექტების შეფრხებისთვის – კონვენცია გულისხმობს მსხვილი პროექტების რეალიზაციის პროცესში ნ-ვე მხარის თანხმობას ეკოლოგიურ საკითხებში.

შესაბამისად, მოსკოვს მაინც რჩება ზემოქმედების გარკვეული ბერკეტი, თუმცა, გაცილებით უფრო სუსტი, ვიდრე აქამდე იყო.

newsru.com, ekhokavkaza.com

◎ საგანგებო სიტუაცია

„ცემენტის ომი“

ცემენტის ბაზარზე ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ საქმეში პრემიერ-მინისტრის ჩართვა გახდა საჭირო. იაფფასიანი იმპორტი ყოველთვის ავიწროვებდა ადგილობრივ წარმოებას, მაგრამ ბოლო დროს ამ ყველაფერმა საშიში ტენდენცია მიიღო.

ადგილობრივმა მწარმოებლებმა პრემიერ-მინისტრის, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების სახელზე საგანგებო მიმართვა გაავრცელეს, სადაც ბაზარზე შექმნილ პრობლემურ ვითარებაზე და გამოსავლის გზებზე საუბრობენ. 15-მდე კომპანია აცხადებს, რომ ბაზარზე მეზობელი ქვეყნებიდან იმპორტირებული ცემენტის მოძალების მასშტაბები იზრდება, რაც პერსპექტივაში, უბრალოდ, აზრს დაუკარგავს საქართველოში ცემენტის წარმოებას და შედეგად რამდენიმე ათასი სამუშაო ადგილის დაკარგვას გამოიწვევს. ადგილობრივ მწარმოებლებს გამოსავლის გზად ცემენტის იმპორტზე (მზა პროდუქციაზე) ამჟამად არსებული მოსაკრებელის მნიშვნელოვნად გაზრდა მიაჩნიათ.

„ამ გზით დავიცავთ ბაზარს და შევინარჩუნებთ ადგილობრივ წარმოებას. ამასთან, ეს ნაბიჯი, მინიმუმ 600-700 ათასი ტონით მაინც გამოათავისუფლებს ბაზარს იმპორტირებული პროდუქციისგან და ეს მოცულობაც ადგილობრივ წარმოებას დარჩება ასათვისებლად. სწორედ ამ მიდგომაში ვხედავთ გამოსავალს“, – აღნიშნულია მიმართვაში. მასში ასევე ხაზგასმულია ბაზრის 80%-ზე მეტი წილის მქონე კომპანია „ჰაიდელბერგცემენტის“ შესაძლო ნეგატიური როლის თაობაზე: **„ბაზრის პრაქტიკულ მონოპოლისტს არ უნდა შეექმნას ისეთი პირობები, როცა ის საკუთარი სურვილით და ფასთა კონიუნქტურაზე ზეგავლენის ბერკეტებით შეძლებს მცირე მწარმოების შევიწროებას და ბაზრიდან განდევნას. სამწუხაროდ, ამის საშიშროება არის და ეს საშიშროება დაგვანახა როგორც წინა პერიოდებში განვითარებულმა მოვლენებმა, ისე სულ ახლახან, „ჰაიდელბერგცემენტის“ წარმომადგენელთა მიერ გამართულმა საგანგებო პრესკონფერენციამ, სადაც ბაზარზე არსებული და საკუთარი**



პრობლემები მათ იმას დააბრალეს, რომ საქართველოში აზერბაიჯანიდან და ირანიდან ხორციელდება კლინკერის (ცემენტის დამზადებისთვის მთავარი ნედლეულის იმპორტი და თითქოს ეს უქმნის მათ ისეთ პრობლემას, რომ ღუმლების გაჩერება და 1300-მდე ადამიანის სამსახურიდან დათხოვნა მოუწევთ.

როგორც ჩანს, ამ განცხადების ტონი განპირობებულია მხოლოდ ერთი სურვილით – ფასთა კონიუნქტურაზე კონტროლის დამყარებით და კონკურენტების შევიწროების პოლიტიკით, სრულად განდევნოს ბაზრიდან საქართველოში ცემენტის სხვა მწარმოებლები და გახდეს აბსოლუტური მონოპოლისტი ამ ბაზარზე. არადა, ის დღესაც აკონტროლებს ბაზრის 80%-ზე მეტს და გაუგებარია, დანარჩენმა 20%-მა ჯამში განა რა დემპინგზე ან რამდენ ხანს უნდა შეძლოს დემპინგზე მუშაობა, რომ ბაზარზე 80%-ის მაკონტროლებელი კომპანია დაზარალოს?“, – აღნიშნულია მიმართვაში.

როგორც ჩანს, საქმე სერიოზულადაა, რადგან პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ამ საკითხს საგანგებო ბრიფინგზეც კი შეეხო. მისი თქმით, თუ შეიქმნება ბარიერები, სახელმწიფო ჩაერევა და დაიცავს სამართლიანი სავაჭრო რეჟიმის პრინციპს: **„ვიღაცას აქვს იმპორტის უფლება, თუმცა მწარმოებელ ქვეყანას აქვს ბარიერი პროდუქციის ექსპორტზე. რა თქმა უნდა, ამ თემას სჭირდება კორექტირება და მას აუცილებლად დავარეგულირებთ. ჩვენ თავისუფალი და ლიბერალური ბაზრის ერთგული ვართ, რომელმაც თვითონ უნდა დაარეგულიროს მსგავსი საკითხები, მაგრამ თუ გვაქვს ხელოვნური ბარიერები, ჩვენ ჩავერევით და დავიცავთ სამართლიან სავაჭრო რეჟიმს“,** – განაცხადა პრემიერმა.

პრობლემის თაობაზე სწრაფ რეაგირებას ითხოვს ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე, რომელიც მიიჩნევს, რომ იმპორტული ცემენტის ხარისხზე კონტროლი უნდა გამკაცრდეს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ქვეყანაში დაბალხარისხიანი პროდუქცია შემოდის და დაბალი ფასით უწევს მათ კონკურენციას. **„ჩვენ შევხვდით ცემენტის მწარმოებელთა ასოციაციას, რომლის წევრია „ჰაიდელბერგცემენტიც“. დაახლოებით ორი თვის წინ გვქონდა ამ კომპანიასთან კომუნიკაცია და პრობლემა ჩვენთვის ცნობილია. ირანიდან ცემენტის შემოდინების დინამიკა საკმაოდ დიდია და ეს არის ამ კომპანიის შეშფოთების საგანი. ზოგადად, ქვეყანა თავისუფალია სავაჭრო ურთიერთობებში. მთავარი წუხილი, რასაც ჩვენ ვიზიარებთ, არის ის, რომ საჭიროა უფრო მკაცრი კონტროლი ხარისხის ნაწილში, რადგანაც არის საუბრები იმაზე, რომ არის შეუსაბამობა ხარისხთან და ის ეტიკეტზე მითითებულ მონაცემებს არ ემთხვევა. სწორედ ამ მიმართულებით უნდა გამკაცრდეს კონტროლი“,** – განაცხადა ბიზნესომბუდსმენმა.

ბექა დანელია

რჩება ადამიანი წარუშლელ კვალს ტოვებს

ამ დღეებში მისი დიდი ოჯახი და სამეგობრო კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ ცნობილი მეცნიერის, სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის დაბადების დღეს...

დაიბადა 1930 წლის 25 აგვისტოს ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში, რაფიელ პაპუნიძისა და მერი საკანდელიძე-პაპუნიძის მეტად გავლენიან, ქართული ტრადიციებით ცნობილ ოჯახში. 1948 წელს დაამთავრა ქედის რაიონის სახელმწიფო პედსასწავლებელი, 1954 წელს კი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1954-1957 წლებში სწავლობდა ამავე ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1958 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1969 წელს – სადოქტორო დისერტაცია. წლების განმავლობაში მოღვაწეობდა სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებაში მეცნიერ-თანამშრომლიდან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეობამდე. პარალელურად კი სხვადასხვა ინსტიტუტსა და ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს.

ვახტანგი პაპუნაძე 1973 წელს სამუშაოდ გადაჰყავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში, 1975 წელს ირჩევენ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად, 1986 წლიდან კი საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორია, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. არჩეული იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად, აჭარის ასსრ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ. არის არაერთი სახელმწიფო ჯილდოს მფლობელი, 300-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა და სტატიის ავტორი.

ვახტანგ პაპუნაძისადმი საზოგადოება ყოველთვის იჩენდა დიდ მოკრძალებას თავისივე განსაკუთრებული ადამიანური თვისებების გამო. თანაგრძნობა, თანამშრომლობის ნიჭი, სიტუაციის ადეკვატურად აღქმის უნარი, მაღალი ინტელექტი, პრობლემის გადასაჭრელად საჭირო ცოდნა, პასუხისმგებლობა, ზომიერი იუმორის გრძნობა, პიროვნული ხიბლი...

„ბატონი ვახტანგი მომთხოვნი, პრინციპების ერთგული იყო“, აღნიშნავს თავის მოგონებაში ცნობილი მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე ნოდარ ჭითანავა, – „მაგრამ ადამიანებთან ურთიერთობისას ვერ იგრძნობდი მბრძანებლურ ნიუანსსაც. დინჯად კეთილი განწყობით იტყოდა სათქმელს, განსაზღვრავდა თავის პოზიციას, მოსაუბრის ამოცანასაც. ღირსეული მოქალაქე იმის კარგ მაგალითს აძლევდა ყველას, თუ როგორ უნდა ემსახურო ქვეყანას, მოსახლეობას“.

მეტად გულთბილ, ღვთისნიერ ლიდერთან, მრავალ განსაცდელში მყოფ, უსამართლოდ დაჩაგრულ თუ ზედმეტად პრეტენზიულ ადამიანს ჰქონდა მასთან შეხვედრის სურვილი, იგი ყოველმხრივ ცდილობდა, ყველა მათგანისთვის გაეწია შესაძლო დახმარება, მასთან შეხვედრით კი უკმაყოფილოს ვერავის ნახავდი.

ვახტანგ პაპუნიძესთან თანამშრომლობა, მისი ბუნებიდან გამომდინარე, არ იყო რთული, თუმცა არც იოლი იყო, ამ უგანათლებულეს კაცთან თავისუფლად გესაუბრა პრობლემებსა და იმათი გადაწყვეტის გზებზე, რომ მასთან შეხვედრით თავადაც დარჩენილიყავი კმაყოფილი. იგი არასოდეს გაგრძნობინებდა და გატკენდა გულს. ამასთან დაკავშირებით მინდა, გავიხსენო ერთი შემთხვევა.

მთხოვეს სასურსათო კომისიის სხდომისთვის მასალების მომზადება. ბატონ ვახტანგს დანიშნულ დროზე მიაწოდეს იგი, მან თვალი გადაავლო ჩემს „ნაცოდვილარს“ და იკითხა, თუ ვისი ნახელავი იყო. ჩემზე მიანიშნეს. „მადლობა გადაუხადეთ, კარგია“... მეორე დღეს პირველი მდივნის თანაშემწე, ბატონი ნუგზარ ბერიძე მთხოვს, რომ ჩვენ ერთად უნდა შევხვედროდით ბატონ ვახტანგს. შეხვედრა შედგა, მდივანმა შემაქო, „კარგად გიმუშავიაო“ – და დაამატა: ბატონი ნუგზარი გადმოგცემთ მასალებს, რომლებსაც დეტალურად უნდა გაეცნოთო. ჩემთვის გასაგები იყო ყველაფერი... სწორედ ამ მწარე გაკვეთილმა შემაძლებინა შემდგომში, ჩემს მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი, დროის მოთხოვნისა თუ ბატონი ვახტანგისათვის რამდენადმე მაინც მისაღები ყოფილიყო.

ვახტანგ პაპუნაძემ, როგორც ბუნებით ჭეშმარიტმა დემოკრატმა, ერთ-ერთმა პირველმა უარი თქვა ადმინისტრირებასა და ძალის პოლიტიკაზე დაფუძნებულ მართვის სისტემაზე. მან აჭარის რეგიონში გზა გაუხსნა კოლექტიური ხელმძღვანელობის ახლებურ ფორმას, რაც დემოკრატიული მმართველობის პრინციპს ეფუძნებოდა. „პრაქტიკამ არაერთხელ დამარწმუნა, რომ კოლექტივის ხელმძღვანელობა დღეს უნდა ემყარებოდეს არა ადმინისტრირებას და ძალის პოლიტიკას, არამედ დაინტერესების, დარწმუნების მეთოდს და ყველაფერი ეს დემოკრატიული მმართველობის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს“ – წერდა ბატონი ვახტანგი (წიგნიდან – „გზა მარადისობისაკენ“, ვანო პაპუნიძე, გამომც. „აჭარა“, ბათუმი, 2010).

ვახტანგ პაპუნიძე, როგორც ბრძენი ლიდერი, წინ უსწრებდა დროს. ახალგაზრდა მეცნიერი, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში, საუბრობდა ქვეყნის სასურსათო ბალანსის შევსების საქმეში საზოგადოებრივი და კერძო სექტორის თანაგანვითარების გადამწყვეტ მნიშვნელობაზე. მოგვიანებით კი მანვე მოახდინა ამ მოსაზრებების პრაქტიკული რეალიზაცია, თავისსავე სამოქმედო რეგიონში, აჭარაში, რაც დიდად ეფექტური და რეზონანსული აღმოჩნდა, არა მხოლოდ აჭარასა და საქართველოში....

მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში, ამ თემაზე ღიად საუბარს ერიდებოდნენ, ქვეყნის მმართველ რგოლში



იყვნენ პრაგმატულად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერდნენ აბაშის, ფოთის აჭარის და სხვა რეგიონების წარმატებულ პროექტებს. როგორც ე. შევარდნაძე ერთ-ერთ ინტერვიუში (ყველაზე ლიბერალი კომუნისტი) აცხადებდა – „ეს მაშინ დაახლოებით იგივე იყო, რაც დღევანდელი საბაზრო ეკონომიკაა“.

როგორც იქნა, ბატონ ვახტანგ პაპუნიძის ძალისხმევით, აჭარის მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობას, მიეცა საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე თამბაქოს, როგორც სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზებული კულტურის წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვის ნებართვა, მოსახლეობას შეექმნა სათანადო პირობები „საკარმიდამო მეთამბაქოეობის და მეცხოველეობის“ დაჩქარებული განვითარებისთვის. სარგებლობაში გადაეცათ საზოგადოებრივ საკუთრებაში არსებული სათიბების ნაწილი, მათვე დაურიგდათ მოზარდი, ნაწილობრივ პროდუქტიული ფურები, უფრო გამარტივდა კერძო სექტორში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პროცესი და გაიზარდა მისი შესასყიდი ფასები.

ვახტანგ პაპუნაძე აჭარის მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპებით არ იყო კმაყოფილი, ამასთან მიაჩნდა, რომ საკმაოდ გლობალური პრობლემის მოგვარება სცილდებოდა რეგიონულ შესაძლებლობებს. სწორედ საოლქო ორგანიზაციის და ვახტანგ პაპუნიძის ძალისხმევით 1979 წლის თებერვალში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღო ცნობილი 103-ე დადგენილება აჭარის მთიანი რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების თაობაზე, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამ კუთხით აჭარის მთიანი რეგიონის (და არა მარტო მის) დაჩქარებულ განვითარებას, მთისა და ბარის მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონეთა გათანაბრება-ნიველირების პროცესის დაჩქარებას.

1975 წლის მონაცემებით, ბარის ზონის ერთი კომლის მთლიანი შემოსავალი, როგორც საზოგადოებრივი ისე კერძო სექტორიდან, 5,4-ჯერ აღემატებოდა მთიანი ზონის შესაბამის მაჩვენებელს. 1983 წლის შედეგებით კი სხვაობა ორჯერ და მეტჯერ შემცირდა. ანალოგიურად, 1975-1983 წლებში აჭარის სუბტროპიკული ზონის კოლმეურნეობების რენტაბელობის დონე 30.42 პროცენტიდან, 40 პროცენტამდე ანუ 22 პროცენტით გაიზარდა, მთისა – 9.7 პროცენტიდან – 39.1 პროცენტამდე, ანუ 31.8 პროცენტით. ე.ი. მთისა და ბარის აღნიშნულ ზონებს შორის რენტაბელობის დონე თითქმის გათანაბრდა.

ვახტანგ პაპუნიძე განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდა განათლების, კულტურისა და ხელოვნების, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტის, საკურორტო მეურნეობის, მომსახურების სფეროს განვითარების, მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესების საკითხებისადმი; ბევრი რამ კეთდებოდა მეცნიერების, მწერლობისა და შემოქმედებით ინტელიგენციის მხარდაჭერის, ახალგაზრდობასთან მუშაობის და სოციალურად დაუცველ ოჯახებზე ზრუნვისათვის.

დასანანია, რომ მეტად ნაადრევად შეწყდა ქვეყნის დიდი მოამაგის, სულმნათ ვახტანგ პაპუნიძის გულისცემა, იგი 1987 წლის 5 იანვარს გარდაიცვალა. უსაზღვრო იყო მისი ტრაგიკული დაღუპვით გამოწვეული გულისტკივილი და მწუხარება.

ბუნებით საოცრად თბილი, კეთილშობილებითა და ღირსებით გამორჩეული ქართველი ინტელიგენტი, ნიჭიერი მეცნიერი, რეფორმატორი, ჭეშმარიტი დემოკრატი და ბრძენი ლიდერი, რომელიც წინ უსწრებდა დროს და რომელმაც სრულიად საქართველოს, განსაკუთრებით კი აჭარის აღორძინების, ქვეყნის აგროეკონომიკური მეცნიერების აღმასვლის საქმეს ფასდაუდებელი ამაგი დასდო.

აი, ასეთი ახსოვთ იგი და ასე აფასებენ მის ღვაწლს თავიანთ მოგონებებში ცნობილი მეცნიერები: ევგენი ხარაძე, ნინო ჯავახიშვილი, ეთერ ქემერტელიძე, პეტრე ნასყიდაშვილი, გიორგი გიგაური, როსტისლავ ბელიაკოვი, პეტრე ჟღენტი, ვახტანგ ბურკაძე, მამია გოგოლიშვილი, ლეო ჩიქავა, ანდრო კიკნაველიძე, რობერტ ანდღულაძე, მიხეილ ჯიბუტი, ომარ ვაშაკიძე, ომარ ქეშელაშვილი, ოთარ საღარეიშვილი, დავით სარიშვილი, იური ბიბილეიშვილი, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები: ედუარდ შევარდნაძე, თენგიზ მენთეშაშვილი, ფელიქს სანაკოევი, ნოდარ ჭითანავა, იოსებ ხარატიშვილი, იური უნგიაძე, გურამ ჩიგოგიძე; ლიტერატურისა და ხელოვნების არაერთი მოღვაწე.

„გოგლა ლეონიძემ მე – ხემიდს „ვეფხისტყაოსნის“ გმირის, ფრიდონის სახელი შემარქვა. ნამდვილი ფრიდონი ვახტანგ პაპუნიძეა, ზღვისა და ხმელეთის რაინდი“ – ეს სიტყვები ცნობილ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს ფრიდონ ხალვაშს ეკუთვნის; ჩემთვის ვახტანგი კაცთა ღირსების სიმბოლოა! – წერს მოგონებაში, „ვახტანგ პაპუნიძის სულის ღაღადისი“, – ცნობილი პოლიტოლოგი, პროფესორი ვაჟა ბერიძე; „ვახტანგ პაპუნიძე იყო ცნობილი მეცნიერი, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, დიდი მამულიშვილი, დიდი პატრიოტი, დიდი ქართველი, – იგონებს ედუარდ შევარდნაძე...

ბატონი ვახტანგის გარდაცვალებიდან სამ ათეულ წელიწადზე მეტი დრო გავიდა და ხალხის ხსოვნაში მის სახელსა და საქმეს დავიწყება არ უწერია, მისი პოპულარობის შესახებ დღემდე ბევრს წერენ, მის ფოტოს კი ბევრი აქაურის ოჯახში საპატიო ადგილი არ უცვლია. ისინი თვლიდნენ და თვლიან, რომ ვახტანგ პაპუნიძემ შეძლო ისეთი განვითარებული რეგიონის აგებ-აშენება და სრულქმნა, „რომლის მოსახლეობა მატერიალურად, სოციალურად, იდეურად და ზნეობრივად, აჭარის უახლესი ისტორიის მანძილზე, თავს ყველაზე ბედნიერად გრძნობდა“ („გზა მარადისობისაკენ“).

დაბოლოს, მინდა, ერთი შემთხვევა გავიხსენო. 1985 წლის ივლისში მოსკოვის ერთ-ერთ საავადმყოფოში ვინახულე ვახტანგ პაპუნიძე. საკმაოდ რთული ოპერაციის შემდგომ ტკივილებით შეწუხებული სახე, მისთვის ჩვეულმა კეთილშობილებით გაზავებულმა ღიმილმა შეცვალა. ვგრძნობდი, რომ ძალიან გაუხარდა, თუმცა „მისაყვედურა“, არ უნდა გაწვალებულიყავი ამსიგრძე გზაზეო. მკითხა, როგორ ვიყავი, მოიკითხა ჩემი ოჯახი, აინტერესებდა, როგორ მიდიოდა საქმე აჭარაში და ა.შ. ჩანდა, რომ ლაპარაკი უჭირდა, ამიტომ შევეცადე, დავმშვიდობებოდი, მაგრამ არ გამომიშვა... ბოლოს მითხრა, რომ რამდენიმე წუთის წინ ჯუმბერ პატიაშვილმა მინახულაო – მიხეილ გორბაჩოვთან ყოფილა გასაუბრებაზე, მალე ცენტრალურ კომიტეტს ახალი პირველი მდივანი ეყოლებაო... წუხდა, რომ ჯუმბერს ეს წარმატება სათანადოდ ვერ მიულოცა. პალატაში ექიმი შემოვიდა, ერთმანეთს დავემშვიდობეთ. მიხაროდა, ბატონი ვახტანგი რომ კარგად იყო. ფიქრებში ჩაძირულს, თვალწინ კვლავ ამ უკეთილშობილესი ადამიანის სახე მედგა, რომელსაც მძიმე მდგომარეობაშიც, კი სხვის გასაჭირსა თუ პრობლემაზე ფიქრი არ ასვენებდა. აი, თუნდაც ჩემს შემთხვევაში – სასტუმროსა და დასაბრუნებელი ბილეთის პრობლემა... არც ოჯახური თუ სამსახურებრივი მდგომარეობა გამორჩენია... მაშინ საკუთარ თავს ვეკითხებოდი, საიდან ასეთი სიძლიერე, ასეთი უბრალოება, დიდბუნებოვნება, ინტელექტი. იგი იყო კაცი, რომელიც საკუთარი გულის სითბოს უშურველად უნაწილებდა ყველას, დიდსა თუ პატარას, ნაცნობსა თუ უცნობს, ახარებდა ყველას სიხარული, გულს ტკენდა მათი სატკივარი. ამიტომაც იყო,რომ მან ხალხის დიდი ნდობა და სიყვარული მოიპოვა და სიცოცხლეშივე უკვდავების ბინადრად იქცა.

ბატონი ვახტანგის ტრადიცია ღირსეულად გრძელდება; უფროსი ქალიშვილი მარინა ცნობილი ექიმია, ნინო და ირმა – პედაგოგები, გიორგი – ეკონომისტი. ყველა მათგანს ჰყავს წარმატებული ოჯახები. ბატონი ვახტანგის შვილიშვილმა პატარა ვახტანგმა მიიღო უმაღლესი განათლება და წარმატებით მოღვაწეობს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში, ორი სახელოვანი ბაბუის, ვახტანგისა და ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ფრიდონ ხალვაშის შვილიშვილი, მეცნიერებათა დოქტორი, თამთა ხალვაში, საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორია. ბატონი ვახტანგის დანარჩენი შვილიშვილები, წარმატებით მოღვაწეობენ საზოგადოებრივ თუ სახელმწიფო სტრუქტურებში. პაპუნიძეების დიდ ოჯახს შეემატა არაერთი მეცნიერი. ძმები, მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები ვანო და გურამ პაპუნიძეები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები არიან. ძმისშვილები სოფიო და მირიან პაპუნიძეები – აკადემიური დოქტორები...



ანზორ თავართქილაძე,
ბათუმი

ქეთი მელუას ფესტივალი – ლონდონის ქართული განძი!

ქეთი მელუა ის საამაყო საერთაშორისო სახელია, ვინც მთელ მსოფლიოში ბევრს აკეთებს ჩვენი ქვეყნისა და მისი მდიდარი კულტურის წარმოსაჩენად. მის შემთხვევაში შედგა ნიჭის, იღბლისა და შრომისმოყვარეობის ბედნიერი თანხვედრა, რამაც მილიონობით მსმენელის გულისყური დაიპყრო. დიდ ბრიტანეთში, 15 წლის წინათ დაწყებული მისი სასიმღერო კარიერა, კვლავაც აღმავლობით გამოირჩევა და ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მომღერლად რჩება დღესაც.

ამას ადასტურებს წლეულს ოქტომბრიდან დეკემბრის შუა რიცხვებამდე დაგეგმილი ქეთი მელუას ორმოცამდე კონცერტი ევროპის 12 ქვეყანაში, მათ შორის, იგი ათ კონცერტს გორის ქალთა კამერულ გუნდთან ერთად გამართავს, დანარჩენ ოცდაათ კონცერტზე კი იგი სოლო შესრულებით წარდგება პარიზის, სტოკჰოლმის, ოსლოს, ჰამბურგის, ბრიუსელის, ბორდოს, ლიონის, ციურიხის, ჟენევის, სტრასბურგის, ვენის, ჰანოვერის, ლივერპულის, მანჩესტერის, ბათის, ნოთინგჰემის, ლონდონის, ედინბურგის და სხვა ქალაქების მთავარ საკონცერტო დარბაზებში. ეს ხომ ათეულ ათასობით მსმენელსა და მაყურებელს ნიშნავს, რითაც იგი ფასდაუდებელ სამსახურს უწევს თავის მშობლიურ ქვეყანას. უცხოეთში შეიძლება ბევრმა არ იცის, ვინ არის საქართველოს პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი, მაგრამ ყველამ იცის ვინ არის ქეთი მელუა!

მინდა, გესაუბროთ ლონდონში წლეულს უკვე მეორედ გამართულ მუსიკალურ დღესასწაულზე: „საზაფხულო სიმღერის ფესტივალი ქეთი მელუასთან ერთად“. ამ ფესტივალის მნიშვნელობა გაცილებით მეტია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს და სწორედ ამას მინდა, მივაპყრო ქართველი საზოგადოების ყურადღება.

ბუნებრივია, ქართველების გულში დიდი მადლიერება სუფევს გამოჩენილი ხელოვანის მიმართ და სრულიად გულწრფელად ებადებათ სურვილი, რაღაც ფორმით მათაც გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება. ალბათ, სწორედ ქართველის გულსა და გონებაში უნდა აღმოცენებულიყო თაყვანისცემის ეს მშვენიერი სახეობა, რომელსაც ქეთი მელუას ფესტივალი ჰქვია. ასეთი რჩეული აღმოჩნდა ქალბატონი **ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანი,** ლონდონის პირველი ქართული სკოლის დამაარსებელი და პატრონი, ვინც შარშან და წლეულს ჭეშმარიტად სახალხო ზეიმის მონაწილედ აქცია ლონდონის საზოგადოება.

ორივე ჯერზე ქეთი მელუასა და მისი ოჯახის წევრებთან ერთად ფესტივალის საპატიო სტუმრებს წარმოადგენდნენ ლონდონის სამეფო რაიონების კენსინგტონისა და ჩელსის ვიცე-მერი **ჯერარდ ჰერგრევესი** და მისი რამდენიმე მრჩეველი, ასევე საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი გაერთიანებულ სამეფოში თამარ ბერუჩაშვილი, რომელმაც ჩემთან საუბარში აღნიშნა: **„ფესტივალი ორჯერვე მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, რომელიც სიამყის გრძნობას გვიჩენდა არა მარტო იმით, რომ ქეთი მელუა არის უნიჭიერესი ქართველი, არამედ იმითაც, რომ ქართველებს შეუძლიათ ასე დახვეწილად და ფაქიზად გამოხატონ თავისი დამოკიდებულება სახელოვანი თანამემამულის მიმართ. ამ ფესტივალებმა ლონდონელებს აჩვენა, რომ ჩვენ ვართ დიდი კულტურისა და ტრადიციების ქვეყანა, რომლის სასიმღერო და ქორეოგრაფიული მემკვიდრეობა საკაცობრიო კულტურულ საგანძურს წარმოადგენს. ის კი, რასაც ქალბატონი ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანი აღწევს თავის თანამოაზრეებთან ერთად, არის უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა და საუკეთესო საშუალება საქართველოს უკეთ გასაცნობად უცხოეთში“.**

ორივე წელს ფესტივალში მონაწილეთა საერთო რაოდენობამ ასს გადააჭარბა (მომღერლებისა და მოცეკვავეების ჩათვლით) სიმღერის ზეიმში შარშან და წლეულს მელუას ორმოცზე მეტი სიმღერა შესრულდა. მათი უმეტესობა ლონდონის ქართული საკვირაო სკოლისა და შემოქმედებითი სტუდია „გონიერის“ მოსწავლეა. თუმცა, ფესტივალის მონაწილეთა ასაკი შეუზღუდავია და მის გარშემო ყველას შეეძლო შემოკრება. რადგან ეს არ გახლავთ კონკურსი, სადაც იმას გამოარჩევენ, თუ ვინ უკეთ ასრულებს ქეთი მელუას რეპერტუარს, ამიტომ პერსონალურად მათ ნამღერზე არ შევჩერდები. ის კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ყველა მათგანი იყო მუსიკალური და ძალიან კარგად მომზადებული.

შეუძლებელია, საგანგებოდ არ ითქვას ფესტივალის წამყვანებზე: **ცირა კემულარიაზე, დავით გიგაურსა** და **ნანო ბაქრაძეზე,** რომლებიც შესანიშნავად ფლობენ მსმენელთან ურთიერთობის ხელოვნებას, მაგრამ თითქმის დაუჯერებელია რვა წლის დეკლამატორების – **ნიკოლოზ კარტოზიასა** და **ანასტასია ხაჩიძის** შესაძლებლობები, აუდიტორიის წინაშე მათი ასე ლაღად და აუღელვებლად წარდგომის უნარი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ფესტივალის მუსიკალური დირექტორის **თამარ ვეფხვაძისა** და მუსიკის მასწავლებლის **ნინო ბაზერაშვილის** წარმოუდგენლად დიდი შრომა, რომელიც მათ თითოეულ მონაწილესთან ვოკალში ინდივიდუალური მუშაობით გასწიეს და გასახარია, რომ მოსავალმაც გაუმართლათ. მათი თავგანწირული გარჯის ნაყოფი ყველამ იგრძნო და იხილა სცენიდან და მაღალი შეფასებაც დაიმსახურა.

ქეთი მელუას საზაფხულო ფესტივალის ნამდვილ სამკაულად უნდა მივიჩნიოთ ლონდონში არსებული **ქართული ცეკვის ანსამბლი „ფესვები“** და მათ მიერ წარმოდგენილი ქართული ცეკვის ნიმუშები. ანსამბლის დამფუძნებელი და დამდგმელი ქორეოგრაფი **შალვა ქავთარაძე** მართლაც ეროვნულ საქმეს ემსახურება დიდ ბრიტანეთში. იგი ქართველ ბავშვებს ცეკვასთან ერთად საკუთარი ძირეული კენსინგტონისა და ჩელსის ვიცე-მერმა **ჯერარდ ჰერგრევესმა** თავის გამოსვლაში გულწრფელად გამოხატა აღფრთოვანება მელუას ფესტივალის მიმართ: **„მიხარია, რომ მეორე წელიწადია, თქვენი კულტურის ნაწილი ვარ. დამპირდით, რომ როდესაც ვიცე–მერი აღარ ვიქნები, მაშინაც მომიწვევთ ამ ფესტივალზე. მადლობას მოგახსენებთ ჩვენს რაიონში ასეთი გრანდიოზული და მასშტაბური ფესტივალის დაარსებისთვის. მიგულეთ თქვენს მეგობრად და თანამდგომად“.**

როგორც ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანმა თქვა: **„ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ირგვლივ ასეთი ახალგაზრდული შემართებით აღსავსე და ნიჭიერი ადამიანები არიან, მარტო მე ვერაფერს გავხდებოდი ინდივიდუალური სპონსორებისა და მშობელთა უერთგულესი არმიის გარეშე და ესენი გახლავთ: ლაშა ეგნატაშვილი, როზიტა ჩარგაზია, ანა თბილელი, მირანდა ქაჩიბაია, ზაზა ფულარიანი, თეა კაციტაძე, თეონა ჭუმბურიძე, ვერონა ბაზალე, ეკა კოქსი, თიკო ქიქავა, ქეთი ილურიძე, ანა ნოზაძე, ნათია მაღრაძე, ზიზი თელური, დავით დვალი, გიორგი სალაძე, მაკა ბაქრაძე, ირმა დარასელია.“**

სიმღერასთან ერთად ამ ფესტივალზე ქართულ ტრადიციებზე, კერძოდ, ჩვენებურ სუფრასა და ლხინზეც გაკეთდა აქცენტი. ფიროსმანის სურათი გააცოცხლეს ვაზის ხეივნის ქვეშ გაშლილ მაგიდასთან მსხდომმა, ტრადიციული ქართული კოსტიუმებით შემოსილმა ბავშვებმა: **ალექსანდრე ფულარიანმა, გიორგი ყვავაძემ, ანანო დადალაურმა, ანრი ქიქავამ, სოფი კოქსმა, ნიკა დვალმა, ლიზი აბაშიძემ, ნანა მაღრაძემ**. მათ თამადის ინსტიტუტი, ასევე ქართული ცეკვითა და სიმღერით თავშეკავება წარმოუდგინეს აუდიტორიას.

წლევანდელი ფესტივალისთვის დამზადდა სპეციალურად შექმნილი შარფი, რომელზეც გამოსახულია ქეთი მელუას პორტრეტი და ფესტივალის ატრიბუტიკა, რომლის დიზაინი თამთა მოსულიშვილს, შესრულება კი შემოქმედებით ჯგუფ „ქუანთეს“ეკუთვნის.

ქეთი მელუას სახეს სიამოვნების ღიმილი ეფინა, იგი უაღრესად ამაყი და ბედნიერი ჩანდა იმ დამოკიდებულებითა და სიყვარულით, რომელიც მის მიმართ ლონდონელმა ქართველებმა გამოავლინეს. მან გაერთიანებულ გუნდთან ერთად ორჯერ იმღერა. სამადლობელი სიტყვა კი ისეთივე სიწრფელით გამოირჩეოდა, როგორიც არის მისი ხელოვნება. მან მადლობა გადაუხადა ფესტივალის სულიჩამდგმელს ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანს, მის უნიჭიერეს ბავშვებსა და თანამოაზრეებს, ასევე ფესტივალის ყველა მონაწილესა და მხარდამჭერს.

ქეთი მელუას ფესტივალის იდეა, რომელიც ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანის საავტორო კუთვნილებაა, ნამდვილად იშვიათი მიგნებაა, რომელიც უნდა განვითარდეს და გადაიქცეს ყოველწლიურ და მასშტაბურ მოვლენად. ამის პოტენცია კი მას უდავოდ გააჩნია. ქეთი მელუა ხომ თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი მომღერალი და კომპოზიტორია, მას ხომ ასზე მეტი სიმღერა აქვს თავის რეპერტუარში და კიდევ რამდენ ახალს გვპირდება სამომავლოდ მისი ზემუსიკალურობა და ამოუწურავი ტალანტი?! ხალხში უზარმაზარია სიყვარული და მოთხოვნა ქეთი მელუას ხელოვნების მიმართ და სწორედ ამიტომაც ლონდონში წლების მერეც აქტუალობას შეინარჩუნებს ეს ფესტივალი, რომელიც ქართული კულტურის გაცნობის მისიასაც ითავსებს.

„საზაფხულო სიმღერის ფესტივალი ქეთი მელუასთან ერთად“ არის ძალზე სოლიდური და საპასუხისმგებლო განაცხადი ლონდონში, რომელიც მუდამ ენთუზიაზმით ვერ ისულდგმულებს, მას ფინანსური უზრუნველყოფაც უნდა უმაგრებდეს ზურგს, რაც შარშან და წლეულს უანგაროდ გაიღეს: **გიგა კუხალეიშვილმა, ოთარ მამაცაშვილმა, ცირა კემულარიამ, რამაზ კარტოზიამ, ანნა და ვახტანგ გოგრიჭიანებმა, ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანმა.**

გულითადი მადლობა მათ ამ სიქველისთვის, მაგრამ იმედია, მესამე ფესტივალს მთლად მათ საზრუნავად აღარ დავტოვებთ და ჩვენც გვერდით დავუდგებით. ქეთი მელუას სახელთან დაკავშირებული ფესტივალი ჩვენი დიასპორის ნამდვილი მონაპოვარია და მისი შემდგომი არსებობით ლონდონსა თუ საქართველოში უფრო მეტი ადამიანი უნდა იყოს დაინტერესებული.

მართალია, ლონდონი ასზე მეტი ქვეყნის დიასპორას ითვლის, მაგრამ ცოტა ვინმე თუ შეძლებს მსგავსად პოპულარული და ინტერნაციონალური ფესტივალის გამართვას, ჩვენ ქეთი მელუას ფაქტორი გვაძლევს ამ ფუფუნების საშუალებას და ეს უპირატესობა, ისევ ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ უნდა გამოვიყენოთ. ვეჭვობ, საქართველოს უცხოეთში ბევრი ჰქონდეს ისეთი მნიშვნელობის პროექტი, როგორიც გახლავთ ზემოთ აღწერილი ფესტივალი ლონდონში. ამიტომ, საქართველოს მთავრობაში, იქ სადაც დიასპორის სტრატეგიას ადგენენ, აქედანვე ყურადღებით უნდა მოეკიდონ ამ ფაქტს, რათა დროულად მოხდეს მისთვის ფონდის გამოყოფა...

მხოლოდ კერძო სპონსორთა კეთილ ნებაზე ნუ დავტოვებთ ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანის მიერ მზამზარეულად ბოძებულ, ამ სიცოცხლისუნარიან და პერსპექტიულ ფესტივალს, რომელიც სათანადოდ შეფასებასა და პატრონობას ითხოვს.

გიორგი ლალიაშვილი,
სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“, ლონდონი.

ასე ამბობდა ლეონარდო და ჯინჩი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა



აქლემი და მეაქლემე

დაჩოქილ აქლემს მეაქლემემ ჯერ ერთი საპალნე დააზურგა, მერე მეორე, მესამე, მეოთხე... აქლემი ვერ ეურჩებოდა მეაქლემეს და თავისთვის ფიქრობდა: „წელს არ მივცემ, რამდენი უნდა მზურგოს, წაღება ხო უნდაო...“ ბოლოს მეაქლემემ ერთი კარგისა გადაუტყლაშუნა მათრახი და აქლემი ძლივს წამოდგა ფეხზე.



— წავედით! — უბრძანა მეაქლემემ და აღვირი გასწია.

აქლემი არ დაძრულა გაქირქნა.

— რას გაიტოქე? გადაადგი ფეხიო! — დაუღრიალა მეაქლემემ და აღვირი ლამის გაგლიჯა.

დაოჩნებული აქლემი კი ფეხს არ იცვლიდა, ნაბიჯი არ გადაუდგამს, სანამ მეაქლემემ ორი საპალნით არ შეუმსუბუქა ტვირთი.

ტვირთშემსუბუქებული აქლემი კი მაშინვე გაუდგა გზას. აგრე იარეს მთელი დღე თაკარა მზეში და მეაქლემემ იფიქრა, კარგი იქნება, თუ მზიურ მივალთ უახლოეს სოფელშიო. აქლემი თითქოს მიუხვდა მზაკვრულ აზრს და ისევ იოჩნა.

— ნუ გაჩერდი! ცოტაც და უკვე ადგილზე ვიქნებითო, — შეუძახა მეაქლემემ.

„არა, დღეს უკვე გვეყოფიო“, — გაიფიქრა აქლემმა და ქვიშაზე წამოგორდა. მეაქლემეს სიბრაზისგან ლამის სისხლი ჩაექცა, მაგრამ მეტი რა ჩარა ჰქონდა! აქლემს საპალნე ჩამოხსნა და უდაბნოში ღია ცისქვეშ მოეწყო ღამის გასათევად.

მარტოოდენ თავის გამორჩენაზე მოფიქრალ მეაქლემეს გულიდან გადავარდა ერთი ძველი ანდაზა, ერთ აქლემს ორპირ ტყავს ვერ გააძრობო.

საშინელი მხეცი

ტყის ბინადარ ყოვლის უფრო თავზე ხელაღებულ ჩაუქთაც ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა იმ ფურცელხშირი, კეთილად მაჩრდილობელი ბებერი ხის ქვეშ, სადაც უხიფათოდ ვერ გაივლიდი!

ტყეში ერთმანეთზე უარესი ხმა გავარდა, ზოგის აზრით, იქ ისეთ საშინელ ურჩხულს დაებუდებინა, რომელიც მალე ბოლოს მოუღებდა მთელ ტყის ბინადართ.

კარგა გვარიანად შიშნაჭამი მხეცნი შეკრბნენ და მელიას მიმართეს:

— შენ, ჩვენო მელაკუდავ, ყველაზე ეშმაკი და ხერხიანი ხარ. გაიგე ერთი, რა ხდება? ამისთანა რა მხეცმა დაიდო ბინა იმ ბებერ ჯმუხ ხეზეო?

შექებით ნასიამოვნებ მელიას დიდხანს არ უხვეწნინებია თანამეტყევენი და თანახმა გაუხდა. მაგრამ ეს დათანხმება სულაც იმას არ ნიშნავდა, რომ ეშმაკი მელია საერთო საქმისთვის საკუთარ თავს გაწირავდა. ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გაიძვერა მელიამ იმ ბედნავს ხესთან თავისი ფიცვერცხლნაჭამი დაქალი — ცნობისმოყვარე კაჭკაჭი გაგზავნა.

კაჭკაჭმა აუფრინ-ჩაუფრინა იმ ფურცელხშირ, კეთილად მაჩრდილობელ ჯმუხ ხეს და ორი მანათობელი გუგა დაინახა, თან ისიც კანთიელად გაიგონა, რომელიღაც უცხო ფრინველი როგორ აფართხუნებდა ფრთებს. შიშისგან ცოცხალ-მკვდარმა კაჭკაჭმა ეს ამბავი მიუტანა დასაზვერად გამგზავნელს.

მელიამ დაუყოვნებლივ შეკრიბა მხეცნი და განუცხადა:

— დიდი უბედურება დაატყდა ჩვენს ტყეს, მეგობრებო, საშინელი რამ მხეცი მოგვევლინა სახელად ურჩხული-ჩუჩხური, ურჩხულის ჩუჩხური კი ადვილი საქმე არ გეგონოთ, მართალია, ჯერ არცვის არ გვიხილავს ამ საშინელი მხეცის ეშვებიანი ხახა და არც კიდევ თავზარდამცემი ღრიალი მოგვისმენია, მაგრამ მე აქ გამჩერებელი აღარა ვარ და თქვენც გირჩევთ მეზობელ ტყეში გადასვლასო. თქმა და ქმნა ერთი იყო. ყველანი ხმაამოუღებლივ აედევნენ ფეხაჩქარებულ მელიას.

ბებერ ხეზე ფურცელხშირში შეყუჟული თვალებგადმოკარკლული ზარნაშო კი გაკვირვებული იყო, აგრე უცებ მთელ ტყეს მუსრი რამ გაავლოო.

უტყუარი ამბავია: შიშს მართლა დიდი თვალები აქვს.

ლომი და ბაჭკანი

უნაყრო ლომს გალიაში ცოცხალი ბატკანი შეუგდეს, გულუბრყვილო და გულთბილ ცხვრის შვილს სულაც არ შეშინებია ნადირთა მეფის დანახვისას. ჩანს, დედა ეგონა, მივიდა, ალერსიანად შეჰბღავლა და უსაზღვრო სიყვარულით, თვინიერებითა და აღტაცებით აღსავსე ფართოდ გახელილი ნათელი თვალები მიაპყრო, მიეგრძნობიერა, დაუსულფონა.

ლომი არ ელოდა ესოდენ ალალად მინდობილი გულის სითბოს, სიბრაზემ უცებ გაუარა, დაწვა და მშიერმა დაიძინა.

ბჟის ბოროლა

მოხუცი განდეგილი ერთ ურმან ტყეში დაბინავდა და ტყის ბოროლას, თვითონ ცასწავალას რომ ეძახდა, დაუმეგობრდა. ერთხელაც მოხუც განდეგილთან მეზობელი ციხედარბაზიდან ორი საჭურველთმტვირთველი მივიდა და ჰკითხეს, ხომ ვერ გვეტყვი, როგორ მოვარჩინოთ ჩვენი სნეული ბატონი, რომელსაც ცნობილი მკურნალნი, ანუ სნეულთ მლხენელნი, კი დასტრიალებენ, მაგრამ სააქაო პირი მაინც არ უჩანსო.

მოხუცი დაეთანხმა, გიხვაიშნებთო, და მეგობარ ბოროლასთან ერთად ციხედარბაზისკენ გაეშურა.

სნეული რაინდის სასთუმალთან ოთხი მკურნალი იდგა და უიმედოდ აქნევდნენ თავებს.

— ამას არცრა აღარ უშველისო, — ჩუმად თქვა ერთმა, რომელიც გამოხედვისდა მიხედვით აღმატებული ჩანდა.

ზღურბლზე გაჩერებული განდეგილი კი თვალს არ აცილებდა თავის ფრთოსან მეგობარს. ბოროლამ რამდენიმე წრე დაარტყა ჭერს, მერე მაღალ ფანჯრის რაფაზე დაჯდა და თვალი გაუშტერა სნეულ რაინდს.

— გამოკეთდებაო! — დაბეჯითებით თქვა მოხუცმა ცასწავალასათვის თვალმოუცილებლად.

— როგორ ბედავს ეს ხეპრე და უბირი, სხვათა საქმეებში რომ ერევაო! — ერთად შესძახა თავმოყვარეობაშელახულმა აღშფოთებულმა ოთხმა თავმდგომმა მკურნალმა.

მომაკვდავმა რაინდმა ამასობაში მინაბული თვალები გაახილა და, რაფაზე მჯდარი ჩიტი რა მოიხილა, გაღიმება სცადა. ლოყები შეუვარდისფერდა, ცოტა ძალაც იგრძნო და ყოველთა გასაკვირად სუსტი ხმით წარმოთქვა:

— მგონი, მოვჯობინდი.

გამოხდა რამდენიმე დღე-ხანი. მძიმე სენისგან საბოლოოდ განკურნებული სახელხმიანი რაინდი თავისი განმკურნებლისთვის მადლობის სათქმელად იმ ურმან, გაუვალ ტყეში, იგივე ჯუნგლში, ეწვია მოხუც განდეგილს.

— მადლობას მე ნუ მეუბნები, — უთხრა მოხუცმა განდეგილმა. — შენ ჩიტმა მოგარჩინა, ბოროლა, ეს ჩემი ცასწავალა, ძალიან მგრძნობიარეა სუყოველი სნების მიმართ. თუ ავადმყოფთან მივიდა და გვერდზე გაიხედა, იმ ავადმყოფის საქმე წასულია, ხოლო თუ სნეულს თვალს არ აცილებს, ის სნეული აუცილებლად მოერევა სატკივარსო.

ჩვენს ცხოვრებაშიც, ვითარცა მგრძნობიარე ბოროლა, სიკეთე გვერდს უვლის ყოველსავე არაჯანსაღს, მახინჯს და უხეიროს, გვერდში უდგას ყოველსავე პატიოსანს, კეთილშობილურ ზრახვასა და საქციელს. ჩიტებისა არ იყოს, რომლებიც ბუდეებს ჩრდილიან ტყეებსა და აბიბინებულ მდელოებზე იშენებენ, სიკეთეც მუდმივად მგრძნობიარე და სათნო გულში ბინადრობს.

არწივის ანდერძი

ბებერი არწივი დიდხანს ბინადრობდა მიუდგომელ კლდეებს შორის სიამაყის მომგვრელ სიმარტოვეში. მაგრამ უკვე ატყობდა, რომ ძალა ნელ-ნელა ეცლებოდა და გრძნობდა, რომ დიდი დღე აღარ ეწერა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა ყაშყაშით უხმო შვილებს, იქვე ახლოისად ჭიუხებში რომ დაედოთ ბინა და ყველანი როს მოგროვდნენ, არწივმა ხმამაღლა დაიყაშყაშა:

— მე გაჭმევდით, გასმევდით, დაგზარდენით და მზისთვის თვალებში თამამად ცქერაც მე გასწავლეთ. თქვენ სამართლიანად დაფრინავთ ყველა ფრინველზე მაღლა და ვაი იმას, თქვენს ბუდესთან მოახლოებას ვინც გაბედავს! თქვენ წინაშე ძრწის სუყოველი სულდგმული, მაგრამ იყავით სულგრძელნი და გებრალებოდეთ უმწეონი. ნუ იგულმავიწყებთ ძველსა ჭეშმარიტებას: ძალით შეაშინებ, მაგრამ პატივისცემას ვერ აიძულებ.

დღემოუჭმელნი არწივნი მოწიწებით უსმენდნენ მამის ანდერძს.

— ჩემი დღეები დათვლილია, — განაგრძობდა მამა არწივი, — მაგრამ ბუდეში სიკვდილი არ მინდა. როგორც შევძლებ, ისე გავფრინდები მზისკენ, რათა იმის სხივებში დავიწვა ჩემი ძველი ბუმბული და ეგრევე დავუხულუბნებ ზღვის ღურღუმის ჭრელთავა ტალღებსო.

უცებ ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ მთის უპუ-გამოძახილიც ვერ ბედავდა დარღვევას.

— მაგრამ იცოდეთ! — უთხრა მამამ შვილებს ბოლო სიტყვა. — ზღვაში ჩემი ჩავარდნის შემდგომ წამისუმალ სასწაული რომ მოხდება: წყლიდან მე ისევ ჯეელი და ძალმოსილი ამოვალ, რათა ახალი სიცოცხლით ვიცოცხლო. თქვენც იგივე ბედი გელით, ესეგვარია ჩვენი, არწივების, ყისმათი.

ამის თქმა იყო, და ბებერი არწივი უკანასკნელად ამაღლდა ცად. ამაყმა და მეფურად დიდებულმა გამოსამშვიდობელი წრე დაარტყა იმ კლდეს, სადაც აურაცხელი შთამომავალი აზიარა სიცოცხლეს და სადაც თვითონაც მრავალი წელიწადი თვალს უსწორებდა მზეს. ხმაგაკმენდილი შვილები თვალს არ აშორებდნენ მამა არწივს, რომელიც გაბედულად მიისწრაფოდა მზის შესახვედრად.

ბასილისკო

ადამ პაპის დროს ჩრდილოეთ აფრიკაში ბევრი ურმანი, გაუვალი ტყე იყო, ახლა ჯუნგლად სახელდებული, სავსე ნადირითა და ფრინველით, წყალუხვი მდინარეები ხომ თევზს ვეღარ იტევდნენ.

მაგრამ ერთხელაც იმ მხარეში საშინელი რამ ურჩხული გამოჩნდა: ნახევრად ფრინველი, ნახევრად — გველი, სახელად ბასილისკო. მახინჯ თავზე ეკლიანი ფარფლი ედგა, რომელიც კუზივით გასდევდა მთელ ზურგზე და გრძელ კუდში გადადიოდა. როგორც მღამიობს, იმასაც აპკოვანი ფრთები ესხა.

უკლებლივ სუყველა ცხოველს, დიდსა თუ პატარას, შიშსა ჰგვრიდა ამდაგვარი მეზობელი, რამეთუ ურჩხულის მზერაც კი გესლს აფრქვევდა. საკმარისი იყო, რომ ბასილისკოს შეეხედა ან მიესუნთქებინა სპილოსთვის ან ქორისთვის, ეგრევე უსულოდ ცვიოდნენ ისინი შხამიანი შეხედვით განგმირულნი, შველა შეუძლებელი იყო. მთელ ტყეს მომსრველი სენი მოედო. ცოცხლად გადარჩენილ ცხოველთ და ფრინველთ საჩქაროზე მიატოვეს მშობლიური სორო-ბუნაგები და შეჩვეული ბუდეები.

მეორე დილით ბასილისკო, ჩვეულებისამებრ, სანადიროდ გავიდა ტყეში. მაგრამ ბევრი იხეტიალა თუ ცოტა, ვერცრა სულიერის ჭაჭანებას ვერ მიაგნო. გულმოსულმა ურჩხულმა თავისი დამაქცევარი მზერა ხეებსღა მიაპყრო, რომელნიც მაშინვე დახმნენ და დაიღუპნენ. ბასილისკომ ახლა მრისხანე თვალი მიწასა და ქვებზე გადაიტანა და მთელი ბალახი ჩაიწვა, ქვები კი ქვიშად დაიფშვნენ. ურჩხულს არც მდინარენი გამორჩენია, ერთი გადახედა და სუყველანი გააწყალმარჩხა.

აგრე გადაიქცა ოდესღაც აყვავებული მხარე გაბერწებულ უდაბნოდ.

(გაგრძელება იძნება)



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №149-158, 162

„ვაჟა ჭყონია“ (ავტორი საქართველოს დამსახურებული მხატვარი გივი მიზანდარი)

85 წლისა გახდა იპოლიტე ხვიჩიას სახელობის იუმორის ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მკითხველისთვის უსაყვარლესი წიგნის — „სიცილის კარდიოგრამის“ შემქნელი, იუმორით გაძეძგილი ქუთაისის საპატიო მოქალაქე, ჩვენი გაზეთის დიდი გულშემატკივარი და საინტერესო ავტორი ვაჟა ჭყონია, რომელსაც, თუ შეეკითხებით, რა ასაკისა ბრძანდება, დააზუსტებს, მხოლოდ ორმოცდათვრამეტისაო და ისე იოლად დაგისაბუთებთ, არც ერთ მის არგუმენტს წყალი არ გაუვა.

რატომ არის 58-ის?

პასუხი უმარტივესი აქვს. დღეს ჩვენს გარშემო ყველაფერი თავდაყირაა და რაღა ჩემი ასაკი არ უნდა დადგეს ყირაზეო?

რას ვიზამთ? რკინის ლოგიკაა, უნდა დავეთანხმოთ!

მერე რა, რომ კუტუზოვივით ცალთვალაა და ორივე ხოცავდა ხალხს:

კუტუზოვი — ზარბაზნებით, ვაჟა — სიცილით.

ცოდვის ზღვევისას საზღაური მაინც ძალზე განსხვავებულია. კუტუზოვს დაშრეტილი თვალი მტერ-მოყვრის თვალის ასახვევად ახვეული ჰქონდა, ვაჟას კი რა აქვს დასამალი, მით უფრო თვალის ასახვევი? დაშრეტილის ნაცვლად ისეთი ლამაზი ხელოვნური თვალი აქვს ჩასმული, რომ დანახვა ყველაზე ძვირფასი „თვალი პატიოსანის“ მაძიებელს შეშურდება. ამიტომ გადავწყვიტეთ, გვენახა ეს ზღაპრული თვალი, ღრმად ჩაგვეხედა მასში და ისე მოგვესმინა პასუხი შეკითხვებზე, რომლებიც იუბილარს დაუსვა თანამერხელმა ჟურნალისტმა ალექსანდრე შენგელიამ:

ზარბაზნები თუ სიცილი?

მიუხუთშაბათებელი ინტერვიუ იუბილართან

— ბატონო ვაჟა! ამ „ხრუშჩოვკის“ პირველ სართულზე მცხოვრებს რა გიგავს ბატონს, მაგრამ ჟურნალისტური ეთიკა მოითხოვს, ინტერვიუს ჩაწერისას ასე მოგმართო და არა იმ სიტყვებით, რომლებიც ჩვენთვის ჩვეულია ჩვენს საერთო მეგობრებთან ერთად განვლილ მრავალწლოვან გზაზე. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, 60-იანი წლების დასაწყისიდან, როცა უმაღლესი სასოფლო პროდუქტების ტექნოლოგიის სპეციალობით დაამთავრე, ყოველთვის ისეთ თანამდებობაზე იყავი, ანალოგიური სამუშაოთი არაერთმა შენმა კოლეგამ სრასახლი აიშენა და მილიონები იშოვა. შენ კი მხოლოდ ქვები დააგროვე და ისიც ...თირკმლებში! ხომ არ აუხსნიდი მკითხველებს, ეს რატომ მოხდა?

— გამიჭირდება ახსნა... დაე, ქვები, ქვები ალაპარაკდნენ!

— ქვა და დოზანა ყველა იმას, ვინც ჩვენი ქვეყანა ქართველებისგან დაცალა და დარჩენილი სამმილიონნახევრიდან 500 ათასამდე აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილია, 800 ათასი კი — პენსიონერი. ამ საგანგაშო მდგომარეობიდან გამომდინარე, რას ფიქრობ საქართველოს მეოთხე პრეზიდენტზე?

— ურთულესი შეკითხვაა და ამიტომ პასუხს შორიდან დავიწყებ. შენგან არა! ღმერთმანი არა! შენი უახლოესი კოლეგისაგან ვიცი, რომ, როდესაც გარდაგეცვალა დიდი მეგობარი რეზო დვალიშვილი, რომელთან ერთად დაიწყე მუშაობა გაზეთ „თბილისში“ მისი შექმნისთანავე, შემდეგ კი საქართველოს ტელევიზიაშიც იყავით ერთად მანამდე, ვიდრე გაზეთის რედაქტორად გადაიყვანდნენ, შემოგთავაზეს მისი ადგილი... ასეა?

— დავუშვათ, რომ ასეა, ამით რა?

— რა და, შემახსენე, შემოთავაზებაზე რად თქვი უარი? მითხრეს, ის მოიმიზეზე,რომ „პედაგოგიკა“ არ გქონდა გავლილი და თავს ნებას არ მისცემდი, იმ დარგობრივ გაზეთში გემუშავა, სადაც განათლებასთან დაკავშირებულ პრობლემებში რიგითი თანამშრომლებიც კი შენზე გაცილებით უკეთ ერკვეოდნენ.

— ქარაგმებს შევეშვათ და დავუბრუნდეთ კითხვას, რომელსაც დაშორდი... რას ფიქრობ საქართველოს მეოთხე პრეზიდენტზე?

— მხოლოდ კარგს, რამეთუ, პრეზიდენტობისა რა გითხრა, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, წინდების კარგი მქსოველია,თან არანაკლები მეკარტოფილეც და ამით მაინც ჯაბნის წინამორბედს, რომელიც წინდებს კი არა, დღესაც ინტრიგებს ქსოვს და სხვათა საამებლად, კარტოფილის ნაცვლად, საქართველოს დამარხვა აქვს გუნებაში...

— დეპუტატებზე რაღას იტყვი? ყველა მოწვევის პარლამენტარებიდან რომელს გამოარჩევდი განსაკუთრებით?

— არჩევანი არაა პატარაა, მაგრამ საფრთხობელად ქცეულ ნეპოტიზმში თუ არ ჩამოგვართვეს, ჩვენს თანაკლასელს, პირველი მოწვევის დეპუტატს,არქიტექტორ ანრი ყრუაშვილს ვანიჭებ პირველობას. მართალია, მის გვარში „ყრუა“ გამორეული, მაგრამ მამაზეციერმა ხომ იცის, რომ არც პირადად ის და არც მისი მეგობრების უმეტესობიდან არავინ დარჩენილა ზოგივით ყრუ, რომ ხალხის ხმა არ გაეგონა და გულთან არ მიეტანა. ამიტომ არ დასჭირვებიათ ის მახათები, რომლებიც ყოფილმა პარლამენტარმა, ჩვენმა ქალაქელმა გოგი წულაიამ საჩუქრად გაუგზავნა დღევანდელ თანამდებობის პირებს.

— მოგეწონა მისი ეს ლაზღანდარობა?

— მომეწონაო რომ გითხრა, ჩემი პასუხი მოგეწონება? რაა ამაში მოსაწონი, როდესაც დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე ვართ და უსაქმური საქმოსნებისთვის მახათების დარიგებით მდგომარეობას კიდევ უფრო ვამძიმებთ. არადა, ლამის დაჭამონ ერთმანეთი პარტიულებმა და უპარტიოებმა, არასამთავრობებმა და სამთავრობოებმა, გრანტიანებმა და უგრანტოებმა, ღრანჭიანებმა და ღრანჭმოქცეულებმა, ენაგატლეკილებმა და ენაჩავარდნილებმა...

მახათი უშველის ამ უბედურებს?

მე უკეთეს, ამასთან, უებარ წამალს მივაგენი. გადავწყვიტე, ერთმანეთისა და საქართველოს ჭამიებს წინაპრების — მეგრელების, გურულებისა და იმერლების რეცეპტით ჩემი მეუღლის — ფხაკაძიანთ ქალის მიერ საგანგებოდ შემზადებული ტყემლის უცხარესი საწებელა გავუგზავნო, რათა ერთმანეთის დაჭმისას ვინმეს ძვალი ყელში არ გაეჩხიროს.

— შენთან გამომშვიდობების წინ მრჩება ამ ექსპრეს-ინტერვიუს კიდევ ერთი შეკითხვა: რას ფიქრობს ვაჟა ჭყონია საკონსტიტუციო სასამართლოს იმ ოთხ მოსამართლეზე, რომლებმაც „დაგვაბოლეს“ და მარიხუანას მოწევა დაგვიკანონეს?

— თვითონ არაფერზე დაფიქრებულან და მე რას უნდა ვფიქრობდე?დღეს იქნება თუ ხვალ, ამის თქმა მიჭირს, მაგრამ ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ დადგება დრო, როდესაც ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს ამგვარ „დაბოლვებს“ და ოთხივე მოსამართლეს ქართველი ხალხის წინაშე ოთხით ფორთხვა მოუწევს.

— გმადლობ ინტერვიუსთვის. დარწმუნებული ვარ, ისევ შევხვდებით 2023 წლის 16 აგვისტოს, რომ შვილთაშვილებით კიდევ უფრო დახუნძლულებს — პირადად შენ და შენს მეულეს, ჩემს უძვირფასეს რძალს, ქალბატონ დარიკოს საიუბილეო 90 მოგილოცოთ.

— გმადლობ კეთილი სურვილებისთვის, მაგრამ, რადგან მეგობარი ხარ, ეგებ წასვლისას გულახდილად მითხრა: სად მიპირებ შეხვედრას, ისევ აქ, ქუთაისში, თუ იქ, სადაც ჩვენი კლასელი და გაუყრელი მეგობარი გივი მიზანდარი მამამისთან, ბატონ ვალერიანთან და რამდენსამე ჩვენს საერთო მეგობარ მხატვართან ერთად ბოლოკს წითლად ღებავს?

— აქ, მხოლოდ აქ, ჩემო ვაჟა, სხვაგან სად მიგვეჩქარება? სიცილი წამალია და, ჩავხედოთ ერთმანეთს თვალებში, რომ ვიცინოთ, რადგან ამ უებარი წამლით ჯერ კიდევ ბევრია სამკურნალო ჩვენს დამშეულ, გაუბედურებულ და „პლანით“ გამოთაყვანებულ ქვეყანაში?

ⓞ ერიჰა!

ნეტა, მაინც ვინ ვის „აწვებოდა“?

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთის პრეზიდენტებში ძალიან ბევრი — ფრანსუა მიტერანიდან მოყოლებული, რომელიც წლების მანძილზე საზოგადოებას სიყვარულსა და ქორწინების გარეშე დაბადებულ ქალიშვილს წლების მანძილზე უმალავდა, მრავალი — ნიკოლა სარკოზი, ფრანსუა ოლანდი და ახლა, მე-5 რესპუბლიკის მოქმედი ხელმძღვანელი ემანუელ მაკრონი, საოჯახო თუ სექსუალურ სკანდალშია გახვეული.

დიდი ხანია, ყვითელ პრესაში ერთი მითქმა-მოთქმაა იმის თაობაზე, რომ ემანუელ მაკრონის მეუღლე ბრიჟიტი, რომელიც მისი სკოლის მასწავლებელი იყო, მისთვის ერთგვარი შირმაა, რომლითაც პრეზიდენტი თავის ინტერესს მალავს ძლიერი სქესის წარმომადგენლების მიმართ.

ბოლო დროს საფრანგეთის გაზეთები აჭრელებულია მაკრონისა და მისი პირადი დაცვის უფროსის ალექსანდრე ბენალის სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ მასალებით. ამასთან დაკავშირებით ემანუელ მაკრონს საჯაროდ თავის მართლებამაც კი მოუწია: „ბენალი არასდროს ყოფილა ჩემი საყვარელი!“ — იუარა მან თანაპარტიელებთან ბოლო შეხვედრაზე. მაგრამ, როგორც ჩანს, პრეზიდენტის გულწრფელობისა ბევრმა არ დაიჯერა, რადგან მაკრონს ერთხელ უკვე მოუწია თავის მართლება „რადიო საფრანგეთის“ ყოფილ ხელმძღვანელთან მატიე გალესთან სასიყვარულო რომანის თაობაზე.

ალექსანდრე ბენალს პრეზიდენტ მაკრონის აჩრდილს ადარებენ — ყველა ფოტოსურათზე ისინი მუდამ ერთად არიან — ტანკენარა მაკრონი და მისი „დათვივით“ პირადი მცველი 26 წლის მაროკოელი ემიგრანტების ამ შთამომავალმა თავბრუდამხვევი კარიერა გაიკეთა: საფრანგეთის სოციალისტური პარტიის აქტივისტი ის ჯერ კიდევ მოზარდობისას გახდა, მერე ერთ-ერთ ღონისძიებაზე გაიცნო და დაუმეგობრდა კიდეც მაკრონს. დროთა განმავლობაში მან საფრანგეთის მრეწველობის სამინისტროში მძღოლად დაიწყო მუშაობა, მაგრამ ერთ-ერთი ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ, ავარიის ადგილიდან მიიმალა, ამიტომაც რამდენიმე წლით ისევ მაროკოში დაბრუნება მოუწია, ხოლო, როცა მაკრონმა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადება დაიწყო, მაშინვე საფრანგეთში დაბრუნდა და იმთავითვე მის საარჩევნო შტაბში დამკვიდრდა. ამ დროიდან მოყოლებული იგი მაკრონს არ სცილდება და ახლა პრეზიდენტის დაცვის უფროსიცაა. პრესაც გამოჩნდა, ცნობები სენის სანაპიროზე



ემანუელ მაკრონის მეუღლის ასაკობრივი სხვაობის გამო ბევრი ხუმრობა ტრიალებს. ამ ხუმრობებიდან ერთ-ერთი ასეთია: ემანუელ მაკრონის მეუღლე ბრიჟიტი ისე ჰგავს ემანუელ მაკრონის დედას, რომ ემანუელ მაკრონს ორი დედა ჰყავსო.

ემანუელ მაკრონის ოჯახური ცხოვრების ირგვლივ ატეხილი ხმაური ისეთ ზომებამდე მივიდა, რომ ემანუელ მაკრონის ოფისმა ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც ბენალის ოფისიდან გაშვება მოხდა მისი ფეშენებელური აპარტამენტებისა და ძვირფასი მძღოლიანი მანქანის უსასყიდლოდ მიღების შესახებ, ასევე ცნობა იმის თაობაზე, რომ მისი ყოველთვიური გასამრჯელო 10 ათას ევროს წარმოადგენს.

წლეულს, 1 მაისს კი პარიზში ამ დღისთვის ტრადიციული დემონსტრაცია ტარდებოდა, სადაც ხალხი მაკრონის ეკონომიკურ პოლიტიკას ლანძღავდა. მართლწესრიგის დამცველები დემონსტრანტების დაშლისას ძალის გამოყენებას არ მორიდებიან, მერე ჟურნალისტებმა კი ერთ-ერთ ვიდეომასალაში სწორედაც ალექსანდრე ბენალი ამოიცნეს, რომელიც ხელკეტს გამეტებით ურტყამდა ვიღაც საცოდავს. ვიდეო 18 ივლისს გამოჩნდა, 20 ივლისს კი ბენალი სამსახურიდან დაითხოვეს და მას ძალის გადამეტების ბრალი წარუდგინეს. ამჟამად ყოფილ მცველს 3-დან 7 წლამდე პატიმრობა და 45-დან 100 ათას ევრომდე ჯარიმა ემუქრება.

არადა, ცოტა ხანში გაოცებულმა ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს, რომ „სამსახურიდან დათხოვნილი“ ბენალი ძველებურად იცავს თავის შეფს და ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელების პატივისცემის ღონისძიებებში იღებდა მონაწილეობას.

ყოველივე ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ მაკრონის მოწინააღმდეგეებმა მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმის წამოყენება სცადეს, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. არადა, თუკი საპარლამენტო კომისია თავად ბენალის დაკითხვას გადაწყვეტს, შეიძლება, ამოტივტივდეს ყოფილი მცველის უსწრაფესი კარიერული ზრდის ისეთი გარემოებები, რომლებიც საბოლოოდ დაასამარებენ ემანუელ მაკრონის მამაკაცურ რეპუტაციას.

ვახტანგ ლაშხი

„მარილიანი“ საფრთხე

თორმეტი წელი დასჭირდათ მეცნიერებს იმისთვის, თუ რა ზიანს აყენებს საკუთარ ორგანიზმს კაცი, რომელიც მარილს ჭარბად მოიხმარს.

„გულს მარილი არ უყვარს!“ – ეს სიტყვები სავსებით შეიძლება ჩავთვალოთ ცოტა ხნის წინათ ბარსელონაში (ესპანეთი) ჩატარებული ევროპის კარდიოლოგთა კონგრესის დევიზად. არადა, სწორედ ამ სიტყვებით დაახასიათა თავისი 12-წლიანი კვლევის არსი ფინეთის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ეროვნული ინსტიტუტის პროფესორმა **ბეკა იოუსილაჰტიმ**. ამ ხნის მანძილზე მკვლევარი კოლეგებთან ერთად 25-დან 64 წლამდე ასაკის 4630 პაციენტს აკვირდებოდა და გაირკვა, რომ **მარილის ჭარბად მოხმარება გულ-სისხლძარღვთა მძიმე დაავადებებს იწვევს**.

უფრო ზუსტად კი, მეცნიერებმა დაადგინეს: **ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად 13,7 გრამზე მეტ მარილს მოიხმარდნენ, გულის უკმარისობას ორჯერ უფრო ხშირად უჩიოდნენ, ვიდრე ისინი, ვინც ამ ულუფის ნახევარს – 6,8 გრამს იღებდნენ**.

მედიკოსთა მტკიცებით, რაც უფრო მეტია მარილი რაციონში, მით უფრო მაღალია გულის იშემიური დაავადებებისა და ინსულტის განვითარების საფრთხე, თანაც ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად მაღალი იყო არტერიული წნევა.

მარილზე სავსებით უარის თქმა ადამიანს არ შეუძლია – მასში შემავალი ნივთიერებები აუცილებელია სითხეების უჯრედებში შესაღწევად და უკან გამოსასვლელად. გარდა ამისა, ისინი ნერვებს ელექტრული იმპულსების გადაცემაში ეხმარებიან. მაგრამ, **მარილით ორგანიზმის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ყოველდღიური 2-3-გრამიანი ულუფაც საკმარისია**. უმრავლესობა ჩვენგანი კი გაცილებით მეტს მოიხმარს: სტატისტიკით, დედამიწის ყველა მცხოვრებზე დღეში საშუალოდ 10 გრამი მარილი მოდის. ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ გულის დაავადებებს წლიდან წლამდე სულ უფრო მეტი სიცოცხლე ეწირება.

ფინელი პროფესორის აზრით, **ადამიანები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს მისდევდნენ, კერძოდ, დღეში 5 გრამზე მეტ მარილს არ უნდა მოიხმარდნენ, რაც ყოველწლიურად 2,5 კაცის სიცოცხლეს დაზოგავდა(!)**

– მარილი გუნებას აუმჯობესებს, რითიც ნარკოტიკული დამოკიდებულების მსგავსს წარმოშობს, – მიაჩნიათ აიოვის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერებს. მათ აღმოაჩინეს, რომ მარილი – ესაა თავისებური ნარკოტიკი, რაც ბევრ ადამიანს მის ჭარბად მოხმარებას აიძულებს. ამასთან, ისინი აცხადებენ, რომ მარილის მოხმარებამ მკვეთრად ზრდა 4 ათასი წლის წინათ დაიწყო, როცა მისი დამკონსერვებელი თვისებები იქნა აღმოჩენილი.

ოთარ ტურაბელიძე

სახალხო ზეიმი დედოფლისწყაროში

2 აგვისტოს „ელიაობას“ განსაკუთრებული მონდომებით და სიყვარულით დღესასწაულობენ დედოფლისწყაროში. ელიას მთაზე წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის ტაძარი VI საუკუნიდან არსებობს. ეს არის წმინდა ელიას სამლოცველო, რომელსაც ძველთაგანვე დიდ პატივს მიაგებს დედოფლისწყაროს და მთელი ქიზიყის მოსახლეობა, ყოველწლიურად უამრავი ხალხი იკრიბება აქ. ასე იყო ამჯერადაც, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა, მეუფე დიმიტრიმ წირვა აღავლინა.

ტრადიციულად, ელიაობისა და დედოფლისწყაროობის დღესასწაულებს მიეძღვნა ბიძინა მაზიაშვილის ხსოვნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, რომელიც ელია თეზბიტელის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა. ტურნირში მონაწილეობდნენ დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, ყვარლის, ახმეტის, საგარეჯოს, თბილისის, წყნეთის, გორისა და კასპის სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლები. ზეიმს ესწრებოდნენ სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი.

გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვეს საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა თამაზ თამაზაშვილმა და ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ.

აგვისტოს მცხუნვარე მზე გორებს მიეფარა თუ არა, რუსთაველის გამზირის ცენტრალურ მოედანზე სპეციალურად მოწყობილ სცენაზე სახალხო ზეიმი გაგრძელდა. ზეიმის წამყვანმა თამუნა გომართელმა ირაკლი შიოლაშვილისა და ნიკოლოზ ჯანიაშვილის მისამართით თბილი სიტყვები არ დაიშურა, რომელთა ძალისხმევით ყოველ წელს დედოფლისწყაროობაზე დაუვიწყარი გალა-კონცერტი იმართება. ამჯერადაც ჩვენი სცენა ქართული შოუ-ბიზნესის ვარსკვლავებმა – ანრი ჯოხაძემ, ნინი შერმადინმა და თიკა ჯამბურიამ დაამშვენეს.

თამუნა გომართელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილს და მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ხელმძღვანელს ნონა ჯიბღაშვილს გულწრფელი მადლობა გადაუხადა ასეთი თბილი დახვედრისთვის და სცენაზე რაიონის საჯარო სკოლების წარჩინებული კურსდამთავრებული ოქროსმედალოსნები მიიწვია.

25 კურსდამთავრებული „წარმატებული დედოფლისწყაროელის სპეციალური სიგელით დაჯილდოვდა.

სახალხო ზეიმის – დედოფლისწყაროობის ასეთი ფართო მასშტაბებით აღნიშვნა 6 წლის წინათ ირაკლი შიოლაშვილის ინიციატივით დაფუძნდა და ყოველწლიურად სულ უფრო ფართოვდება, ადგილობრივმა მოსახლეობამ ეს ღონისძიება მოიწონა, გაითავისა და სულმოუთქმელად ელის ამ დღესასწაულზე ახალ-ახალი საპატიო მოქალაქეების გამოვლენას.

დადგა ამაღელვებელი წუთები და საქართველოს ეროვნული ჰიმნის ფონზე დაასახელეს ცნობილი ადამიანები, რომელთაც დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ. ესენი გახლავან:

მიხეილ დარჩიაშვილი – ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავებისა და საქართველოს ნატოში გაწევრების პროცესში შეტანილი წვლილისთვის;

თენგიზ გუგაშვილი – ცნობილი სპორტსმენი, სპორტის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის;

გულნარა პოპიაშვილი – ცნობილი ექიმი, ადამიანის ჯანმრთელობაზე მზრუნველი უანგარო პიროვნება;

ნანა ჭიჭინაძე – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში შეტანილი წვლილისთვის;

ვიოლეტა დავთიანი – ღვაწლმოსილი პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი და დამრიგებელი.

გალა-კონცერტი გვიან ღამემდე გაგრძელდა და საზეიმო ფეიერვერკებით დასრულდა.

მარიკა პოპიაშვილი,
დედოფლისწყარო.

ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

„მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ” ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, “ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების” შესაბამისად. თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელ (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი 1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

შპს „გამა“-ს საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2019 წლისთვის

ცხრილი 1

№	ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი	იურიდიული მისამართი	ცხელი ხაზის ტელ. ნომერი, მობ. ნომერი, ელ. ფოსტა	საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.)	**მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით
ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1	შპს "გამა" (208208198)	ქ. თბილისი, კახეთის გზ 67	ტელ: 2-24-25-90 info@gamagas.ge	1 000 000 მ3	* არასაყოფაცხოვრებო 78.30 **არასაყოფაცხოვრებო 500 000 მ3 * არასაყოფაცხოვრებო 89.93 **არასაყოფაცხოვრებო

* ფასი ხელშერულებაში დაფიქსირებულია აშშ დოლარში 1000 მ3-260 აშშ დოლარი*შესაბამისი კურსი+18.84 ტრანსპორტირების თანხა+ დღგ

** ფასი ხელშერულებაში დაფიქსირებულია აშშ დოლარში 1000 მ3-300 აშშ დოლარი*შესაბამისი კურსი+18.84 ტრანსპორტირების თანხა+ დღგ

*– თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** – შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) – ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. №19 +995 032 2 42 01 80

საფეხბურთო მოზაიკა

საძართველოს მოქმედი ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ ალბანეთშია და ადგილობრივ „კუკეშთან“ ევროპა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო დღევანდელი ეტაპის საპასუხო მატჩისთვის ემზადება, რომელიც 21 საათზე დაიწყება.

აღნიშნულ შეხვედრას შვეიცარიელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. მთავარი არბიტრი ალან ბიერი იქნება, ხოლო მას ალან ჰეინიგერი და მატიას სბრისა დაეხმარებიან. მეოთხე მსაჯის ფუნქციებს პასკალ ერლაჩნერი შეასრულებს.

აქვე გეტყვით, რომ კახა ჩხეტიანის გუნდმა ტირანაში ვარჯიში უკვე ჩაატარა.

შეგახსენებთ, რომ პირველი თამაში ერთი კვირის წინ ქუთათურებმა შინ დამაჯერებლად, 5:2 მოიგეს.

* * *

ამჟამად პრესტიჟული ევროპული საკლუბო ტურნირის, ჩემპიონთა ლიგის დაწყებამდე 1 თვე დარჩა. ჯგუფური ეტაპის მონაწილე 32 გუნდიდან 26 უკვე ცნობილია, ხოლო დანარჩენი 6 რჩეულის ვინაობას პლეი-ოფი გაარკვევს.

თავის მხრივ, უკვე ცნობილია აღნიშნული პლეი-ოფის წყვილები და შეხვედრები 21 და 28 აგვისტოს გაიმართება:

„ცრვენა ზვეზდა“ (სერბეთი) – „ზალცბურგი“ (ავსტრია),

„ბატე“ (ბელარუსი) – „პსვ ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია),

„იანგ ბოიზი“ (შვეიცარია) – „დინამო“ (ხორვატეთი),

„ვიდეოტონი“ (უნგრეთი) – აეკ (საბერძნეთი),

„ბენფიკა“ (პორტუგალია) – პაოკ (საბერძნეთი),

„აიაქსი“ (ჰოლანდია) – „დინამო“ (უკრაინა).

მართალია, ჯგუფური ტურნირი ჯერ საბოლოოდ არ დაკომპლექტებულა, მაგრამ უკვე ცნობილია ის, თუ რომელ კალათებში გადანაწილდებიან გუნდები:

I კალათა

„რეალი“ (ესპანეთი) – ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული,

„ატლეტიკო“ (ესპანეთი) – ევროპა ლიგის მოქმედი გამარჯვებული,

„ბარსელონა“ (ესპანეთი) – ესპანეთის ჩემპიონი,

„ბაიერნი“ (გერმანია) – გერმანიის ჩემპიონი,

„მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი) – ინგლისის ჩემპიონი,

„იუვენტუსი“ (იტალია) – იტალიის ჩემპიონი,

„პარი სენ ჟერმენი“ (საფრანგეთი) – საფრანგეთის ჩემპიონი.

„ლოკომოტივი“ (რუსეთი) – რუსეთის ჩემპიონი.

II კალათა

„დორტმუნდი“ (გერმანია) – 89.000 კოეფიციენტი,
„პორტუ“ (პორტუგალია) – 86.000,
„მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) – 82.000,
„შახტარი“ (უკრაინა) – 81.000,
„ნაპოლი“ (იტალია) – 78.000,
„ტოტენჰემი“ (ინგლისი) – 67.000,
„რომა“ (იტალია) – 64.000,
„ლივერპული“ (ინგლისი) – 62.000.

III კალათა

„შალკე“ (გერმანია) – 62.000,
„ლიონი“ (საფრანგეთი) – 59.500,
„მონაკო“ (საფრანგეთი) – 57.000,
ცსკა (რუსეთი) – 45.000,
„ვალენსია“ (ესპანეთი) – 36.000,
„პლზენი“ (ჩეხეთი) – 33.000,
„ბრიუგე“ (ბელგია) – 29.500,
„გალათასარაი“ (თურქეთი) – 29.500.

IV კალათა

„ინტერი“ (იტალია) – 16.000,
„“ჰოფენჰაიმი“ (გერმანია) – 14.285.

პლეი-ოფი კალათებზე დიდ ცვლილებას ვერ მოახდენს. შესაძლოა, ერთადერთი ცვლილება მოხდეს: თუ ლისაბონის „ბენფიკა“ ჯგუფურ ეტაპზე მოხვდება (კოეფიციენტი 80.000), მაშინ ადგილს მეორე კალათაში დაიკავებს, ხოლო ინგლისური „ლივერპული“ მესამე კალათაში გადაინაცვლებს.

აქვე გეტყვით, რომ ჯგუფური ეტაპის წილისყრა 30 აგვისტოს მონტე კარლოში გაიმართება.

* * *

ლიონელ მესიმ არგენტინის ნაკრებში პაუზა აიღო. Clarin-ის ინფორმაციით, 31 წლის ფეხბურთელმა „ალბისელესტეს“ მთავარ მწვრთნელ ლიონელ სკალონის უკვე აცნობა, რომ უახლოეს პერიოდში გუნდში არ გამოიძახოს.

თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მესიმ სანაკრებო კარიერა დაასრულა. ამასთან, არავინ იცის, როდის და დაუბრუნდება კი არგენტინის ნაკრებს თანამედროვეობის გამორჩეული ფეხბურთელი. საინტერესოა, რომ ლიონელმა 2016 წელსაც დატოვა ნაკრები, მაგრამ მოგვიანებით გადაწყვეტილება შეცვალა.

არგენტინა უახლოეს ორ მატჩს 7 და 12 სექტემბერს გამართავს, როდესაც ამხანაგურად გვატემალასა და კოლუმბიას გაეჯიბრება.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

თორნიკეს მხარდამხარ

თორნიკე შენგელიას „ბასკონიამ“ 25 წლის ფორვარდი დარან ჰილარდი დაიმატა. აღნიშნულ ინფორმაციას კლუბის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

ჰილარდი 2015/17 წლების სეზონებში „დეტროიტის“ ღირსებას იცავდა.

განვლილ სეზონში ფორვარდმა „სან ანტონიოს“ მაისურით 14 შეხვედრა ჩაატარა და საშუალოდ ერთ მატჩში 1.1 ქულას აგროვებდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ წინალობა

თომას ბახი უკმაყოფილოა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) პრეზიდენტი თომას ბახი უკმაყოფილოა გაეროს უსაფრთხოების საბჭოზე აშშ-ს მიერ IOC-ის მოთხოვნის დაბლოკვით, რაც ითვალისწინებდა ჩრდილოეთ კორეაში საქონლის შეტანის აკრძალვის ნუსხიდან სპორტული აღჭურვილობის ამოღებას.

თომას ბახის თქმით, IOC კორეის ნახევარკუნძულზე სპორტის მეშვეობით მშვიდობის ხელშესაწყობად ყველაფერს იღონებს, აშშ-ის გადაწყვეტილება კი IOC-ს თავისი მისიის შესრულებაში ხელს უშლის.

გეჟან დოლიძე

◎ ინტერნეტიდან

ქალები არ ასვენებენ

პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ რომ ქალთა გულთამპყრობელია – ეს ყველამ კარგად იცის. მას შემდეგ, რაც იგი სათამაშოდ იტალიაში გადაბარგდა, იქაურმა ლამაზმანებმა, როგორც იტყვიან, მიზანში ამოიღეს. რონალდუს აგენტის თქმით, ფეხბურთელს აპენინელ გოგონათაგან დღეში რამდენიმე ასეული წერილი მისდის.

რთული მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რას წერენ იტალიელი ასულები პორტუგალიელ ოყლაყს. უმეტესობა მობურთალს მარადიულ სიყვარულს ეფიცება. თუმცა, არიან ისეთები, რომლებიც მზად არიან ფეხბურთელთან თუნდაც მხოლოდ ერთი მგზნებარე ღამე გაატარონ და იგი მარადიულ მოსაგონრად დაიტოვონ.

მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიელი სუპერმეგოლე ტურინში გულისსწორთან ერთად ჩავიდა, ამ ფაქტმა მაინც ვერ შეაშინა მასზე ნადირობის მსურველი იტალიელი ტურფები და ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ რონალდუს მომავალშიც ქალთა სქესის მხრიდან დიდი „განსაცდელები“ ელის.

როსტომ რაჭველიშვილი



◎ ჩოგბურთი

სერენაც კრიზისშია

ცინცინატის მასტერზის 1/16-ფინალში ჩეხმა პეტრა კვიტოვამ ლეგენდარული სერენა უილიამსი 6:3, 2:6, 6:3 დაამარცხა. შეხვედრა ზუსტად ორ საათს გაგრძელდა.

პეტრამ 10 შესაძლებლობიდან 4 ბრეიკი შეასრულა, ხოლო სერენამ 7-დან სამი. 2009 წლის შემდეგ პირველად სერენამ ბოლო ოთხი ბრძოლიდან სამი წააგო.

ურთიერთშეხვედრებში სერენა კვიტოვას 5:3-ს ამარცხებს.

მანუჩარ გიორგაძე

ზნეობრივი გმირი

თავგანწირვა, რომელიც სიცოცხლეზე მეტია

ცოტნე, ჟორდანია, თამარაშვილი და აგერ, ზაზა დამენია — ჩვენი დროის გმირი!

დროისა, რომელმაც „უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები“. როცა ადამიანის სიცოცხლე ჩირადაც არ ღირს...

მაინც უკვდავია გამორჩეულ პიროვნებებში კოდირებული სხვათათვის თავგანწირვის გენი!

ამ სიაშია ლაშა ლაშხი, — იმ საბედისწერო დღეს 32 წლის მაღალი, მოხდენილი, შავქოჩორა, ოცნებებითა და იდეებით სავსე ჭაბუკი.

საქართველოს ერონული მუზეუმის მუშაკს მზად ჰქონდა პროექტი, მამის ძმადნაფიცი ჯუმბერ ბიძიას (ცნობილი არქეოლოგი ჯუმბერ ნადირაძე) საქმის გაგრძელება უნდოდა — მოდინახის ციხის ფერდობის ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა.

ერთი ჩვეულებრივი, ნათელი, უბრალო დღე იყო — 2000 წლის 21 ივნისი. მამა, ცეზარი - რაიონის იმდროინდელი გამგებელი — აკაკის დაბადების დღეს ზეიმობდა საჩხერელებთან ერთად.

თბილისში, სანაპიროზე ლაშა მოსეირნობდა განუყრელ მეგობარ, ცნობილ პაროდისტ ობოლა ციმაკურიძის გვერდით...

ოცნებაში გართულს მეგობრის განწირული ხმა შემოესმა — მიშველეთო.

ტრაგედიის შემდეგ გაიხსენებენ ლაშას ერთ-ერთ ინტერვიუს, სადაც კორესპონდენტის კითხვაზე - „რა მიგაჩნია ადამიანის მთავარ ღირსებადო“, უპასუხებს: „მეგობრისთვის თავგანწირვაო“.

მერე რა, სიტყვით ეს ბევრ სხვასაც უთქვამს, საქმით კი...

საქმეზე მიდგა ჯერი, დაუყოვნებლივ გადაეშვა მტკვარში!..

ლაშამ ცურვა კი იცოდა... მაგრამ ბედმა უმტყუნა!

მერე... მდუმარებისაგან მოცული ადრე დაღამებული საჩხერე და საოცრება: ამ შეღამებას უცნაური ნათელი ადგა — თავგანწირვის დიადი ნათელი!

უცნაური იყო ისიც, რომ სათნოებითა და სიკეთით სავსე, დღემდე ძაძებმოუშორებელი მშვენიერი ქალბატონი, დედა ზოია უცრემლოდ ხვდებოდა სამძიმარზე მისულთ. მიზეზი: საცრემლე გამშრალი ჰქონდა.

ასევე ცრემლგამშრალი ცეზარი მივა ობოლას ჭირისუფალთან. ტირილი და გმინვა ორმაგდება.

„ლაშა სატირალი არ არის. სატირალი მაშინ იქნებოდა, თვითონ გადარჩენილიყო და ობოლა დაღუპულიყოო“.

რა დიდსულოვნებაა შვილმკვდარი მამისა!

ყოველდღიურად გადაშლისაგან ფურცლებგაცრეცილი ლაშას ერთადერთი ალბომი...

ცნობები, ინტერვიუები, დოკუმენტები, საგაზეთო სტატიები, სამძიმრის დეპეშები, წერილები...

იმდროინდელი საქართველოს პრეზიდენტის ხელმოწერილი განკარგულება მედლით „მხედრილი მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ და სამძიმარი, სადაც ვკითხულობთ: „ამ ტრაგედიამ ცხადად წარმოაჩინა ქართული, მამაკაცური, უღალატო მეგობრობის სიმშვენიერე...“

ერთადერთ ქალიშვილს, უკვე უმაღლეს-დამთავრებულ ლამაზ მარიამს, ისევე, როგორც დედამის მაკას, კიდევ უფრო დაამშვენებს მოუშორებელი სევდა...

მეგობრები სპეციალურ მემორიალს გააკეთებენ კულტურის ცენტრის წინ. საფლავებსაც თითქმის გვერდიგვერდ აუგებენ, სადაც უწყვეტად მიედინება ხალხის ნაკადი...

15 აგვისტოს ლაშას ღირსეული ბაბუის, ცნობილი ჟურნალისტის სერგო ლაშხის დაბადების დღეა. იგი 100 წლის გახდებოდა!...

17 აგვისტოს ლაშა ლაშხის დაბადების დღეა. იგი 50 წლისაა!...

ახლა ლაშას ძმის კახას გულითადი მეგობარი ლევან ჩხეიძე მიგვიძახ-მოგვიძახებს სამეგობროს, წინასწარ დავიჭერთ თადარიგს და...

ლაშხების დიდი ოჯახი აუყვება გოლგოთის გზას საირხესაკენ, ძვირფასი საფლავებისაკენ.

მეგობრები.

სანთელი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის 1962 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უკეთილშობილესი პიროვნების, უახლოესი მეგობრისა და თავისი საქმის საუკეთესო პროფესიონალის

დიმიტრი ლეთოდიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მისამართი: ილ. ჭავჭავაძის გამზირი 37ა, Ia კორპუსი, პირველი სადარბაზო, პანაშვიდი 16 VIII, დაკრძალვა 18 VIII, ლეჩხუმი, სოფ. ზედა ლეხვანოში.

მეგობრების სახელით:
ნათელა ვაჩნაძე, როინ მეტრეველი, სოსო კვიციანი.

ლუიზა, როინ მეტრეველები ოჯახით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, შესანიშნავი პიროვნებისა და თავისი საქმის პროფესიონალის

დიმიტრი ლეთოდიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ზურაბ მაჩაიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება შესანიშნავი მეგობრის, კეთილშობილი პიროვნებისა და სამშობლოსათვის პატრიოტული სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღმზრდელის

დიმიტრი ლეთოდიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა დამატებითი რეგისტრაცია

საზოგადოების მოთხოვნის გათვალისწინებით, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო აღსაზრდელთა დამატებით რეგისტრაციას აცხადებს. 2018-2019 სააღმზრდელო წლებისთვის, დამატებითი რეგისტრაციის მიზნით, განცხადებების მიღება საბავშვო ბაღებში 20 აგვისტოს დაიწყება და 7 სექტემბრამდე გაგრძელდება.

აღსაზრდელთა რეგისტრაცია რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით მოხდება:

განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები;

დედამიშვილები (რომლებმაც ვერ მოასწრეს რეგისტრაცია, რეგისტრირებული არიან სხვა ბაღში და სხვა);

ბაგა-ბაღის თანამშრომლის შვილები;

სოციალურად დაუცველი ბავშვები (რომლებმაც პირველ ეტაპზე დარეგისტრირება ვერ მოახერხეს);

იმავე რაიონში რეგისტრირებული აღსაზრდელები, სადაც მდებარეობს ბაგა-ბაღი;

სხვა დანარჩენი განცხადებები.

რეგისტრაციის მსურველებმა კონკრეტულ საბავშვო ბაგა-ბაღს განცხადებით უნდა მიმართონ და შესაბამისი დოკუმენტაცია წარადგინონ. კერძოდ, ბავშვის დაბადების მოწმობა; რეგისტრირებული მისამართის დამადასტურებელი ცნობა ან ამხანაგობის მიერ გაცემული ცნობა, რითაც ოჯახის კონკრეტულ მისამართზე ცხოვრების ფაქტი დასტურდება; სამედიცინო ცნობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის; ცნობა სოციალურად დაუცველის სტატუსის შესახებ; თანამშრომლის შვილის შემთხვევაში, თანამშრომლის დანიშვნის ბრძანება ამავე ბაგა-ბაღში.

განაცხადების მიღება სასურველ ბაგა-ბაღში იწარმოებს, საიდანაც მათი გადაგზავნა ბაღების მართვის სააგენტოში მოხდება. კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ბავშვი შესაბამის ბაგა-ბაღში ჩაირიცხება.

სასჯელს საფრანგეთში მოიხდის

ფრანგმა სამართალდამცველებმა ქართველ პოლიციელებთან აქტიური და ეფექტიანი თანამშრომლობის შედეგად, საფრანგეთში ქურდობაში ბრალდებული საქართველოს მოქალაქე დააკავეს.

საფრანგეთში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშეს ქალაქ პლურინ-ლე-მორლეს უანდარმერიის სამსახურმა ქართული წარმოშობის სავარაუდო დამნაშავის ვინაობის დადგენის მიზნით მიმართა. ფრანგი სამართალდამცველები 2017 წლის ივლისში ქალაქ ლამერში და 2018 წლის იანვარში ქალაქ პლუინოში ჩადენილი ქურდობის ფაქტებზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს იძიებდნენ. ქურდობის ბრალდებით 1 პირი იძებნებოდა.

მიმდინარე წლის 10 აგვისტოს საფრანგეთში, ქალაქ სენტ-ბრიეკში, ადგილობრივი პოლიციის მიერ გადამოწმებულ იქნა სავარაუდოდ აღნიშნული დანაშაულების ჩამდენი საქართველოს მოქალაქე, 1982 წელს დაბადებული ა.ჯ., რომელიც გაყალბებული პერსონალური მონაცემებით და ყალბი დოკუმენტაციით გადაადგილდებოდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოხდა აღნიშნული პირის იდენტიფიცირება, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობათ ფრანგ სამართალდამცველებს.

მიმდინარე წლის 11 აგვისტოს ქალაქ ბრესტის პროკურატურამ დაკავებულ ქართველს საფრანგეთის ტერიტორიაზე ჩადენილი ორი ბინის ქურდობის ფაქტებზე ბრალი წარუდგინა და წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. 14 აგვისტოს საფრანგეთის ქალაქებში ჩადენილი რამდენიმე ქურდობის ბრალდებით დაკავებულ ა.ჯ. საფრანგეთის სასამართლომ 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა.

მოსახლეობამ ავტომაგისტრალი გადაკეტა

სოფელ ნაღობილევის მოსახლეობამ თხილზე კომპენსაციების გაცემის მოთხოვნით ოზურგეთი-ურეკის ავტომაგისტრალი გადაკეტა. მათი განცხადებით, თხილის მოსავლის განადგურების გამო წელს გურიას შიმშილი ემუქრება. ისინი ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ სოფელში არც წყალია, არც გაზი, მხოლოდ გზაა, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა ხეების გადატანის გამო დააგო. აქციის მონაწილეებს პრეტენზია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარესთან აქვთ.

სოფელ ნაღობილევის მოსახლეობის პრეტენზიებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვიცემერმა ირაკლი სირაძემ უპასუხა.

„ამ თმასთან დაკავშირებით ჩვენ შეგვიძლია, მოსახლეობისგან განცხადებები მივიღოთ, შევქმნათ ჯგუფი, რომელიც, სავარაუდოდ, ზარალის ოდენობას დათვლის და შესაბამის უწყებას გადავუგზავნოთ. თუ გადაწყდება, რომ რაიმე ტიპით ანაზღაურება კომპენსაციის სახით მოხდეს, ჩვენ ამას მივესალმებით,“ — განაცხადა ირაკლი სირაძემ.

დაზარალებულ მოსახლეობას დროებით თავშესაფარს ატოვებინებენ

სამი კვირის წინ რუსთავის გზატკეცილის მე-15 კილომეტრზე ძლიერი წვიმის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას დროებით თავშესაფარს ატოვებინებენ. მათი თქმით, ამის შესახებ გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტმა მიიღო. მათი განცხადებით სასტუმრო, სადაც მუნიციპალიტეტმა განათავსა და უკვე მესამე კვირაა, იმყოფებიან, უნდა დატოვონ და სახლებს დაუბრუნდნენ.

დაზარალებულების თქმით, წვიმის შედეგად დაზიანებულ სახლებში ამ ეტაპზე ცხოვრება შეუძლებელია, რადგან არ აქვთ დენი და წყალი. გარდაბნის მერის მტკიცებით კი დაზარალებულ მოქალაქეებს შესაბამისი დახმარება უკვე გაეწიათ. სასტუმროში ოთხი ოჯახი ცხოვრობს, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვებიც არიან.

გილოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი და თამაზ გოგინაშვილი

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების წევრს, საქართველოს მშენებელთა ბრწყინვალე საზოგადოების გამორჩეულ წევრს, საკავშირო სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება, „თბილისის ელექტროძრავის“ გენერალური დირექტორის ყოფილ მოადგილეს მშენებლობაში, უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

ვალერი ვარდოსანიძეს

ველორბოლა ბაკურიანში

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით და მთის კურორტების კომპანიის მხარდაჭერით ბაკურიანში ველორბოლა გაიმართა. ტურნირში 30 პროფესიონალი და მოყვაარული ველომრბოლელი მონაწილეობდა, სამთო ველოსპორტში შეჯიბრი დიდველის ველობილიკზე მოეწყო.

ტურნირის მონაწილეებს რთული რელიეფური მონაკვეთების დაფარვა მოუწიათ. შეჯიბრში 3 გამარჯვებული გამოვლინდა, მათ სპეციალური პრიზები გადაეცათ. ტურნირის ყველაზე პატარა მონაწილე ათი წლის იყო. ველორბოლას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე დაესწრო. ველორბოლის დასრულების შემდეგ ველოტრეისერების შოუ მოეწყო. ღონისძიება მუსიკალურად გაფორმდა, მთელი დღის განმავლობაში სპორტსმენებისა და მაყურებლების განწყობაზე ზრუნავდა DJ.

ადრიანო ჩელენტანო თბილისში კონცერტს გამართავს

ლეგენდარულ იტალიელ მსახიობსა და მომღერალს ადრიანო ჩელენტანოს თბილისში 2019 წლის მარტში ელოდებიან, განუცხადა „Sputnik-საქართველოს“ კომპანია Fix Group-ის მენეჯერმა ირაკლი კაკაბაძემ.

ვარსკვლავის კონცერტი დაგეგმილია თბილისის საკონცერტო დარბაზში. საღამო სიმფონიური ორკესტრის თანხლებით ჩაივლის. ბილეთები 28 აგვისტოდან გაიყიდება. მისი შეძენა შესაძლებელი იქნება ონლაინ, ვებგვერდზე biletebi.ge.

კონცერტის ორგანიზატორია Fix Group. კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, ერთადერთი, რის გამოც შეიძლება ჩელენტანოს კონცერტი გადაიდოს, მსახიობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაა – მას 2019 წელს 81 წელი უსრულდება.

„ამ საქმეში ბევრი მეგობარი და კომპანიაა ჩართული. რადგან პირველი და ყველაზე დიდი პრობლემაა მისი აქ ჩამოყვანა. მრავალი ლეგენდა დადის, იქიდან დაწყებული, რომ მას ფრენისა ეშინია და იმით დამთავრებული, რომ იტალიას საერთოდ არ ტოვებს. მაგრამ დღესდღეობით შეთანხმება მისი გამოსვლის შესახებ არის. რაღაცნაირად მოხერხდა მისი მიწვევა რუსეთში და იქიდან – საქართველოში ჩამოყვანა“, – განაცხადა კაკაბაძემ.

დაგეგმილი კონცერტი ბევრ რისკთან არის დაკავშირებული, განაცხადა კომპანიის წარმომადგენელმა. როგორც კომპანიაში აღნიშნეს, ჩელენტანოს გამოსვლისთვის ჰონორარი არ მოუთხოვია. Fix Group იხდის მხოლოდ მუსიკოსისა და მისი დიდი გუნდის ფრენას, ცხოვრებასა და სხვა ხარჯებს.

◎ ყველაფერი – ყველაფერზე...

ყავა გრუბავთ? – არა!

ყავა ყოველთვის პოპულარული სასმელი იყო, თუმცა კი გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, მის გარეშე თანამედროვე ყოფა, უბრალოდ, წარმოუდგენელია. არადა, თურმე, არის ადამიანის ფსიქიკის ზოგიერთი მდგომარეობა და ისეთი დაავადება, რა დროსაც მისი დალევა ნამდვილად არ ღირს. კერძოდ:

– ნერვული სისტემის დიდი აღგზნებადობის მქონეთათვის;
– სტრესის მდგომარეობაში;
– თუკი ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებებს უჩივით;
– თუკი კოლიტი ან დიარეა გჭირთ, ანდა კუჭი საჭმელს ვერ ინელებს;
– გასტრიტის გამძაფრების, ანდა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დროს;
– თუკი ორგანიზმის გაწმენდის დიეტაზე ხართ.

დაბცვული სიცილი

იუმორის ლაღი გრძნობის მქონე ქალებს ნაადრევი სიკვდილის საფრთხე ნაკლებად ემუქრებათ, აცხადებენ ნორვეგიელი ექიმები.

სპეციალისტებმა საავადმყოფოების 53 ათასი პაციენტი გამოიკვლიეს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ გულის სისხლძარღვთა დარღვევების, კიბოსა და ფილტვების პათოლოგიების გამო ყველაზე დაბალი რისკი, თურმე, იუმორის კარგი გრძნობის მქონე ქალბატონებს აქვთ.

მეცნიერთა აზრით, **იმუნურ სისტემაზე სიცილი დამცველივით მოქმედებს, რაც ამუხრუჭებს კორტიზოლისა და სტრესის სხვა ჰორმონების გამომუშავებას.**

რაც შეეხება ლაღი იუმორის მქონე მამაკაცებს, მართალია, ისინი ინფექციებისგან 75 პროცენტით ნაკლებად კვდებიან, მაგრამ გულის დაავადებებისგან სიცილი მათ არ იცავთ. ამის მიზეზი, ექიმთა აზრით ისაა, რომ ძლიერი სქესი მოწიფულ ასაკში უფრო მეტად პესიმისტურადაა განწყობილი.

„ბებრები“ ვეგეტარიანელები

ვეგეტარიანელი ქალბატონები ხორცისმჭამელ ქალებზე გაცილებით უფრო სწრაფად ბერდებიან, აცხადებენ ბრიტანელი მეცნიერები.

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე სრულად უარის თქმა კანის ადრეულ დაბერებას იწვევს.

ეს დასკვნა მათ ქალთა ორი ჯგუფის წევრებზე მრავალწლიანი დაკვირვების შემდეგ გააკეთეს. მოხალისეთა ნახევარი თევზეულს, ხორცსა და რძის პროდუქტებს მიირთმევდა, სხვები კი მხოლოდ ვეგეტარიანულ საჭმელს მიირთმევდნენ. შედეგების დაჯამებისას აღმოჩნდა, რომ ვეგეტარიანელი ქალბატონები, თავიანთ ხორცისმჭამელ თანატოლებთან შედარებით, უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდნენ. ბრიტანელი სპეციალისტების დასკვნას მათი უცხოელი კოლეგებიც იზიარებენ, რომლებიც აცხადებენ, რომ ვეგეტარიანული საკვები მართლაც უარყოფითად მოქმედებს კანის მდგომარეობაზე. განსაკუთრებით კი ეს მათ ეხებათ, ვინც ცხოველური წარმოშობის საკვების მიღებაზე უარი თქვა 20 წლის ასაკამდე.

ჯი ჭკოსაგან!..

ინტელექტის მაღალი დონე ფსიქიკურ დაავადებათა წარმოშობის საფრთხეს ზრდის, გვაფრთხილებენ ამერიკელი მედიკოსები. მათი აზრით, მაღალი გონებრივი შესაძლებლობების „კრიტიკული ზღვარია“, როცა ინტელექტის კოეფიციენტი (IQ) 130 და მეტი ქულაა.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ ინტელექტის ამ შეფასების მქონეთაგან ყოველ მეხუთე კაცს ესა თუ ის საგანგაშო აშლილობა სჭირს. ეს კი ორჯერ მეტია, ვიდრე თუნდაც საშუალო ინტელექტის მქონე ადამიანებში. მეცნიერები ასევე აცხადებენ, რომ ინტელექტუალურად მაღალგანვითარებული ადამიანები სხვებთან შედარებით უკეთ ხედავენ გარე სამყაროს არასრულყოფილებასა და ნაკლოვანებებს. ეს კი თავის მხრივ, „ტვინიკოსებში“ ხშირად ფსიქიკურ დაავადებებს იწვევს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი – 2.6343; ევრო – 3.0047;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი – 3.3645;
100 რუბლი – 3.9028; თურქული ლირა – 0.4000;
აზერბაიჯანული მანათი – 1.5537;
1000 სომხური დრამი – 5.5440.

ამინდი 16 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი –	ღამე +15,	დღე +29
მთიანი რაიონები –	ღამე +10,	დღე +30
დასავლეთი საქართველო:		
ბარი –	ღამე +19,	დღე +35
მთიანი რაიონები –	ღამე +15,	დღე +33
თბილისი:	ღამე +19,	დღე +28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge